140/1991/2

ISSN 0132-6007



# ნაკადული

1991
ივნისი

# ✻ ზაფხული



„სვანეთი“. თენგიზ ფურცხვანიძე.



„ზაფხულის დილა“. კობა სირაძე, თბილისი.

რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ზაფხული ბავშვებს ახარებს.

და, ცხადია, პირველ რიგში იმიტომ, რომ კარგა ხნით წყდება სწავლა და იწყება ყველაზე ხანგრძლივი ა-რ-დ-ა-დ-ე-გ-ე-ბ-ი, ანუ გაკვეთილებისაგან გათავისუფლების, უფროსების მომაბეზრებელი მეურვეობისაგან თავის დაღწევის, ეზოში დილიდან საღამომდე ყოფნის, ფეხსაცმლის ცხვირის გაცვეთამდე ფეხბურთის თამაშის, მოგზაურობის, მინდორში ცხენის ჭენების, მთა-ბარის დავლის, მდინარეში ჭყუმპალაობისა და თევზაობის, საკუთარი შესაძლებლობების, ძალის, უნარის გამოცდის, ბევრის ნახვის, აღმოჩენის, შემეცნების, წაკითხვის, და კიდევ — ნაყინისა და ხილის დ რ ო!



„ეტიუდი“. ნათელა გრიგალაშვილი. ხაშური.

„წყაროსთან“. ფ. კლიმენტიევი, სტავროპოლი.





„შინისაკენ, მუცოში“
თამაზ ბიბილური. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს
ყოველთვიური ლიტერატურულ-პუბლიცისტური
ილუსტრირებული საყმაწვილო ჟურნალი




№ 6 1991 წელი
გამოდის 1926 წლიდან

# ნომრის შინაარსი

სკოლასთან დაკავშირებულ მოგონებებთან ერთად განსაკუთრებულად მძაფრი შთაბეჭდილებები საზაფხულო არდადეგებიდან მოჰყვებათ ყმაწვილებს მთელი ცხოვრების საგზლად. უფროსების ვალია, ყოველნაირად იზრუნონ და ნორმალური პირობები შეუქმნან ბავშვებს შინაარსიანი დასვენებისათვის.



2. ალბათ, ურიგო არ იქნებოდა, თუ ჩვენი დედაქალაქის ხელმძღვანელობა თბილისის ახალ უბნებში სკოლებისა და საბავშვო სახლების გარდა პატარა ეკლესია-სამლოცველოების აშენებაზეც იზრუნებდა. ჩვენი ყმაწვილების სულიერი აღზრდისათვის აუცილებელი ასეთი ღონისძიების იდეას ვთავაზობთ მკითხველს რუბრიკით „თვალსაზრისი“.

21. ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად გარდაცვლილი ნიჭიერი პოეტისა და დრამატურგის, თამაზ ბაქალეიას ხანმოკლე ცხოვრებაზე მოგვითხრობს ნინო ხარაზიშვილი წერილში „არყოფნის მხერა ვერ მოვიცილე“.

5. აქ ვაგრძელებთ ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ ბეჭდვას.





12. ყველაზე კარგად ვაჟა ფშაველას შვილებს ახსოვთ, თუ როგორი იყო ეს ბუმბერაზი პოეტი ცხოვრებაში. მწერლის დაბადების 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ვაქვეყნებთ მისი ვაჟის, ვახტანგ რაზიკაშვილის მოგონებებს.

■ გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი აკაკი თევზაძისა.

მთავარი რედაქტორი
ვალერი ჯინჭარაძე

სარედაქციო კოლეგია:
ლია ანდღულაძე, ნუგზარ აფხაზავა (პ/მ მდივანი), მანანა ბელაშვილი, ავთანდილ ბურჯანიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ ხახსონაძე, ნაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ ჩამანაძე, სიმონ შამუგიანი, ბაბულია ბელია, ზურაბ ჯუმსურიძე, ნინო ხარაზიშვილი

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი, კოსტავას ქ., 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-21-81
პასუხისმგებელი მდივნის — 93-52-05.

გადაეცა ასაწყობად 25.06.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.91 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.85. შეკვ. 1275. ტირაჟი 35.000.

ჟურნალი აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ სტამბაში.

«НАКАДУЛИ», ежемесячный художественно-публицистический иллюстрированный журнал для школьников Министерства просвещения Республики Грузия.

Цена 40 коп.

Адрес редакции:
380096, гор. Тбилиси,
Ул. М. Костава, № 14.

Гл. редактор
Валерий ДЖИНЧАРАДЗЕ

თვალსაზრისი

# „...რომ სული წმინდა გვქონდეს“

მადლობა ღმერთს, თუმცა კი გვიან, მაგრამ მაინც დაგვიდგა ჟამი, როცა მივხვდით, რომ კარგა ხანია, სული მისახედი გაგვხდომია.

დიახ, დაგვავიწყდა, რომ უპირველესი, საწყისთ-საწყისი სულია ჩვენში და რომ მასზე, მის სიმაღლეზე, მის სიფაქიზეზე უნდა ვიზრუნოთ ჯერ და მერე — სხვაზე.

თურმე რარიგ დაგვმძიმებია და დაგვმდაბლებია იგი...

თურმე როგორი გაფრთხილება სდომებია მას...

ჩვენ კი მის ერთადერთ განსაწმენდელსაც — ღვთის სახლსაც კი გულგრილად ვუვლიდით გვერდს, ის კი არა, ჩვენი უგუნურებით თვითონვე ვანგრევდით მას.

ახლა, კი, როცა სულმა განწმენდა მოგვთხოვა, მივხვდით, რომ იმ დანგრეულის აღდგენისა და ახლის აშენების ჟამი დაგვიდგა.

და ბევრი ეკლესია აღვადგინეთ საერთო ძალისხმევით, ბევრის დახშული კარი გაიხსნა მლოცველთათვის, ზოგან ახლის აშენებაც შეძლეს უკვე, ზოგან ახლა შენდება, მერე და მერე სხვაგანაც აშენდება.

მეტი, მეტი გვინდა ეკლესია-სალოცავები, ყველგან უნდა გვქონდეს ღვთის სახლი, სოფელშიც და ქალაქშიც, ხოლო დედაქალაქში — ყველა უბანში. და, ალბათ, **ურიგო არ იქნებოდა, ახალი უბნებისა თუ მიკრორაიონების დაგეგმარებისას ეკლესიის აშენებაც გაგვეთვალისწინებინა**, რათა ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში არ ვიაროთ ეკლესიაში. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხვალ და ზეგ გაჩენილ ჩვენს შვილებსა თუ შვილიშვილებს ისე აღარ გავზრდით, ღვთის სახლს რომ გულგრილად ჩაუარონ, საკითხის ამგვარად დასმა, ალბათ, კიდევ უფრო მართებულად მოგვეჩვენება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა-პასუხი

**გევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ საქართველოში არსებობს და მოქმედებს ბავშვთა ფედერაცია, საზოგადოება „პატარა მამულიშვილი“. გთავაზობთ საუბარს სბფ-ის თავმჯდომარესთან, ბატონ კობა გილაშვილთან.**




**— მას შემდეგ, რაც უხმო ერთსულოვნებით გადაწყდა, რომ პიონერული ორგანიზაციის მსგავსი ბავშვთა გაერთიანება დღევანდელ და, მით უმეტეს, ხვალინდელ საქართველოს არამც და არამც არ სჭირდება, ცხადია, ბავშვთა ნებისმიერი ახალი ორგანიზაციის შექმნის საკითხი ჰაიჰარად არ გადაწყდებოდა, არა?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, ვიმსჯელეთ, ავწონ-დავწონეთ, გავიაზრეთ ძირითადი მომენტები, კერძოდ, მომავალი გაერთიანების მიზნები, მისი საქმიანობის მთავარი მიმართულებები, ხასიათი და შინაარსი.

**— იქნებ, დღეს სწორედ ბავშვთა ფედერაციის მიზნებსა და საქმიანობის მიმართულება-ხასიათზე ვილაპარაკოთ.**

— კი, ბატონო. დავიწყებ იმით, რომ ჩვენ უყოყმანოდ ვუჭერთ მხარს საღ აზრს, რომელიც უარყოფს ბავშვთა მოძრაობის პოლიტიზაციას. ისიც კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ეს ჩვენი ბავშვების, მოზარდების დამოუკიდებელი საქართველოს შენების დიადი საქმისგან გამოთიშვას სულაც არ გულისხმობს. აქედან გამომდინარე,

## „პატარა მამულიშვილის“

განვსაზღვრეთ ჩვენი საკეთებელი და ფედერაცია-საზოგადოების სახელიც ამის შესაბამისად შევარჩიეთ — „პატარა მამულიშვილი“.

საქართველოს ბავშვთა ფედერაცია მიზნად ისახავს ბავშვებსა და მოზარდებში სამშობლოს კეთილდღეობისაკენ მიმართული ძალისხმევის მატერიალურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, ჩვენი ისტორიული და რელიგიური სიმდიდრის ღრმა შესწავლას, დაცვა-გაფრთხილებას. ფედერაცია ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ბავშვებსა და მოზარდებს შორის პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას, საქართველოს ბავშვებისა და მოზარდების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თანატოლებთან მეგობრობა-თანამშრომლობის განმტკიცებას. ფედერაციის მუდმივი საზრუნავი იქნება მოზარდ თაობაში საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისადმი ინტერესის გაღვივება, მისი ზნეობრივი და ინტელექტუალური აქტივობის ზრდა. ჩვენი საგანგებო ზრუნვისა და მეურვეობის საგანი იქნებიან ობოლი და ინვალიდი ბავშვები.

**— ამჟამად ვინ არის საქართველოს ბავშვთა ფედერაციაში გაერთიანებული?**

— სბფ-ის შემადგენლობაში ნებაყოფლობით ერთიანდებიან აჭარის ბავშვთა თავისუფალი კავშირი, საგარეჯოს ბავშვთა ორგანიზაცია „სათავე“, თბილისის „სათნოების ორდენი“, „მწვანეთა კავშირი“, დედოფლის წყაროს ბავშვთა გაერთიანება „ბერმუხა“, სამტრედიის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული გაერთიანებები „ნეკრესელი“, „ივერიელი“ და სხვ.

**— „პატარა მამულიშვილი“ არც ისე დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ალბათ რაღაც კონკრეტული საქმეები მაინც გექნებათ გაკეთებული...**

— მოგახსენებთ. საქართველოს ბავშვთა ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა საშობაო მეჯლისი; კაჭრეთის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებისათვის ჩატარდა საქველმოქმედო საღამო, მაშინ ჩვენ კაჭრეთელებს სპორტული ინვენტარი გადავეცით საჩუქრად; მოეწყო თბილისელი მოსწავლეების შეხვედრა ქართული საბავშვო ფილმის „მეტიჩარას“ საავტორო კოლექტივთან; სამაჩაბლოდან დევნილთათვის აპარატის თანამშრომლების პირადი სახსრებით შევიძინეთ თეატრალურ წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთები; ჩატარდა საქველმოქმედო საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. შემოსული თანხა მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ფედერაციასთან საქართველოს თავს დატეხილ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით შეიქმნა ოპერატიული რესპუბლიკური შტაბი, რომელმაც ამავე ფონდში დამატებით კი-

## პირველი ნაბიჯი

დევ 10 000 მანეთი გადარიცხა, საგანგებოდ შეძენილი ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები გადაეცა დაზარალებულთა ოჯახებს. დაზარალებული რაიონებიდან ბავშვების ნაწილი ბავშვთა და მოზარდთა გამაჯანსაღებელ ცენტრ „არტეკში“ გავამგზავრეთ, აქვე დაისვენეს ჩვენი ხელშეწყობით თბილისის № 1 ბავშვთა სახლის ვოკალური ანსამბლის „მოლოდინის“ წევრებმაც... გარდა ამისა, ბავშვთა ფედერაციას თავისი ბეჭდვითი ორგანოცა აქვს— გაზეთი „ალგეთის ლეკვები“; მისი შემოსავლის 50% ეროვნული გვარდიის ფონდში ირიცხება...

**— რატომღაც თქვენი გაზეთი ძვირი სანახავია...**

— იმიტომ, რომ უსახსრობა და, აქედან გამომდინარე, უქაღალდობა გვიშლის ხელს, ბოლო ხანებში ნომრების გამოშვება ძალზე გვიფერხდება. რაკიღა სიტყვამ მოიტანა და უსახსრობას შევეხეთ, უნდა ითქვას, რომ ეს ბევრი სხვა კარგი, სასარგებლო იდეის განხორციელებაშიც გვიშლის ხელს. იქნებ, სანამ მოვღონიერდებოდეთ და ფეხზე დავდგებოდეთ, რაღაც შეღავათები მოეცათ ჩვენთვის, გადასახადებისაგან გავეთავისუფლებინეთ... საერთოდ კი სახსრების მოძიება, ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეულია ჩვენთვის... მაგრამ ეს სულაც არ გვინელებს მუშაობის სურვილსა და მონდომებას.

ის, რაც უკვე გაკეთდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია და, ამდენად, სალაპარაკოც იმდენი არაფერი გვაქვს. მომავალში კი...

ესაუბრა მ. ქარგარეთელი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტ-ცოტა ყველაფერზე...

### მსოფლიოში ყველაზე ცნობილი

აშშ-ის, იაპონიისა და საერთო ბაზრის 9 ქვეყნის მყიდველთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სავაჭრო ფირმებია „სონი“, „მერსედესი“, „კოდაკი“, „დისნეი“, „ნესტლე“, „ტოიოტა“, „მაკდონალდი“ და კიდევ რამდენიმე...

### ჯიბგირი შევარდენი

საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადის ბაზარზე ერთი კაცი შევარდენს საკმაოდ ძვირად ყიდდა. როცა მყიდველმა მისი შეძენა გადაწყვიტა და ფულის გადათვლა დაიწყო, შევარდენმა მას ბანკნოტები ხელიდან გამოსტაცა, ცაში აიჭრა და გაუჩინარდა. საინტერესოა, თავად მოიფიქრა ფრინველმა ეს, თუ პატრონმა გაწვრთნა?



### ზემატარებელი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 470 ვაგონისაგან შემდგარმა სატვირთო მატარებელმა, რომლის სიგრძემაც 7,3 კილომეტრი შეადგინა, საბადოდან 861 კილომეტრის მოშორებით მდებარე ნავსადგურამდე 71 765 ტონა რკინის მადანი გადაიტანა.

### რუბიკი განაგრძობს...

მსოფლიოში განთქმული გამომგონებელი ერნე რუბიკი, რომელმაც 1974 წელს „ჯადოსნური კუბიკი“ შექმნა, დღესაც იგონებს ახალ-ახალ სათამაშოებსა და თავსატეხებს.

„სათამაშო კოჭი“ — ასე ჰქვია კუბურას, რომელშიაც სხვადასხვა ფერის მომცრო კუბურები დაგორავენ. სათამაშო ისე უნდა აჯანჯღარო და აბრუნო, რომ ბოლოს ყველა ნახვრეტში თეთრი ფერი ჩანდეს.

„სამმაგი პირამიდაც“ რუბიკის კუბურას ვარიანტია. აქაც თითოეულ წახნაგზე ერთი ფერი უნდა შეადგინო.

„15“ — თამაშია, რომლის დროსაც პლანშეტზე ამოშვერილი თამასების დახმარებით რიცხვებიანი კოჭები ისე უნდა გადაადგილო, რომ რიცხვები თანამიმდევრულად დალაგდეს.

### მწვანე მენდოსა

„დედამიწის დღე“ — ასე ეწოდება ახალ დღესასწაულს, რომელსაც დედამიწელები სიამოვნებით აღნიშნავენ. მისი მთავარი მიზანია დედამიწის ეკოლოგიური კატასტროფისაგან გადარჩენა და ამ მიზნით ხეების მასობრივი დარგვა.

„დედამიწის დღის“ დღესასწაულზე მრავალი მილიონი ნერგი დაირგა. თითოეული მათგანი კი წელიწადში 20 კილოგრამ ნახშირორჟანგს შთანთქავს.

არგენტინის ქალაქ მენდოსაში კი ამ დღესასწაულის საგანგებო აღნიშვნა არაა საჭირო. საქმე ისაა, რომ ქალაქში გამწვანება უკვე მკვიდრი ტრადიციაა. „მწვანე“ პროგრამა 100 წლის წინათ დაიწყო, როცა ძლიერმა მიწისძვრამ ნახევარი ქალაქი დაანგრია. ამჟამად მენდოსელები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მწვანე ნარგავების რაოდენობა მათ მშობლიურ ქალაქში მნიშვნელოვნად აღემატება მის 600-ათასიან მოსახლეობას. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს მწვანე სამოსელი სამჯერ ამცირებს ჰაერის დაბინძურების დონეს.

### ფინჯანიც ამას ჰქვია!

ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი საწარმო მსოფლიოში უდიდეს ფინჯნებს უშვებს. თითოეულში 7 ლიტრი ჩაი ჩადის, ჩაიდანში კი — 42 ლიტრი.

### გოგრა კონკიასათვის

ვინ გამოიყვანს ყველაზე დიდ გოგრას? ყოველწლიურად დიდ ბრიტანეთში ეროვნული შეჯიბრება ტარდება „ჩემპიონი“ გოგრის გამოყვანაში. 1984 წელს გამარჯვებულ 200 კილოგრამიან ნაყოფს პირველობა დღემდე არავისათვის დაუთმია.

ამერიკის საერთაშორისო ჩემპიონატში კი 1986 წელს გაიმარჯვა გოგრამ, რომელიც 302 კილოგრამს იწონიდა. ჭეშმარიტად, დასაჯერებელია, რომ კონკიასათვის კეთილმა ფერიამ გოგრა მართლა გადააქცია ეტლად.




### რქოსანი ფოსტალიონი

ოთხშაბათობითა და პარასკეობით ბირმის ქალაქ ჩაუს ფოსტის მუშა წერილებითა და ამანათებით სავსე დატვირთულ ხარს მეზობელი სოფლისაკენ გაუყენებს გზას. ორი საათის შემდეგ უცნაური ფოსტალიონი ადგილობრივ ფოსტასთან ჩერდება. აქ მას უკვე ელიან, ბარგს ჩამოხსნიან, დააპურებენ, დაასვენებენ და, ახალი ტომრებით დატვირთულს, უკან აგზავნიან. ფოსტალიონი აკურატულად ასრულებს თავის მოვალეობას დარშიაც და ავდარშიაც. მას ჯერ არასოდეს დაუგვიანია და არც გზა აბნევია. ასე რომ, თავის გასამრჯელოს — თივასა და სხვა საკვებს — მუყაითი ფოსტალიონი დამსახურებულად ღებულობს.




### ახალი ექსპონატი

დრეზდენის ისტორიულ მუზეუმში ახალი ექსპონატი გაჩნდა — 1930 წელს გამოშვებული ბენზინის სვეტი, რომელიც ქალაქ ევერბახის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე ერთგულად ემსახურებოდა ხალხს ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

### ყურანი კრძალავს...

ეგვიპტის მთავრობამ კუნძულ ფაროსზე ოდესღაც აღმართული ალექსანდრეს ცნობილი შუქურის აღდგენა გადაწყვიტა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 280 წელს აგებული 120-135 მეტრი სიმაღლის კოშკი პოსეიდონის ბრინჯაოს ქანდაკებით გვირგვინდებოდა. გუმბათქვეშ ცეცხლი გიზგიზებდა. ამ შუქურამ, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთმა, მეთერთმეტე საუკუნემდე იარსება, შემდეგ იგი მუსლიმანებმა გადააკეთეს, მერე კი დაანგრიეს. მის აღდგენასთან მრავალი სიძნელეა დაკავშირებული, და არა მხოლოდ ტექნიკური. საქმე ისაა, რომ ყურანი ცოცხალი არსების გამოსახვას კრძალავს, შუქურა კი ზღვის ღმერთისა და სხვა ფიგურებით იყო მორთული.

ცოტ-ცოტა ყველაფერზე...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ვიკითხოთ



# ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

# პატარა უფლისწული

თუმცა პატარა უფლისწული თავს ევლებოდა თავის სატრფოს, მაგრამ მალე შეერყა მისდამი რწმენა. იგი გულდასმით უსმენდა მის უმართებულო სიტყვებს და ძალიან უბედურად თვლიდა თავს.

„არ უნდა დამეგდო მისთვის ყური, — გამანდო ერთხელ, — არასოდეს არ უნდა მოუსმინო ყვავილებს. მარტო მათი ცქერითა და სურნელებით უნდა დატკბე. ჩემმა ყვავილმა მთელ ჩემს პლანეტას მოჰფინა სურნელება, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დავმტკბარიყავი ამით. ვეფხვებისა და ბრჭყალების ამბებს არ უნდა გავებრაზებინე, უფრო მეტად უნდა შემბრალებოდა იგი!..“

და მერე დასძინა:

— მაშინ არაფერი გამეგებოდა! მისი საქციელისთვის უნდა მიმექცია ყურადღება და არა მისი სიტყვებისათვის. იგი მე სურნელებას მაკმევდა და ცხოვრებას მინათებდა. არ უნდა გამოვქცეოდი! მის გულუბრყვილო ოინებში მისი სინაზეც უნდა დამენახა. ყვავილი ხომ ისეთი ცვალებადია! მაგრამ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და სიყვარულის არა გამეგებოდა რა.



**ნახატები** — ავტორისა

თარგმნა გიორგი ჩიმაკაძემ

გაგრძელება. დასაწყისი „ნაკადული“ № 5

## IX

თავისი პლანეტიდან გაქცევისას იგი ალბათ გარეული ფრინველების გუნდს შეუერთდა. იმ დილას მან საგულდაგულოდ დაალაგა თავისი პლანეტა: გულმოდგინედ ამოწმინდა მოქმედი ვულკანები. მას ორი მოქმედი ვულკანი ჰქონდა. ამ ვულკანების



ცეცხლზე იმზადებდა დილით საუზმეს. უფლისწულის პლანეტაზე ერთი ჩამქრალი ვულკანიც იყო, რომელიც, ყოველი შემთხვევისათვის, ასევე გულდასმით ამოწმინდა, რადგან, როგორც თვითონ ამბობდა, „არავინ იცის, რა მოხდება“. თუ ვულკანი კარგად გაქვს გაწმენდილი, მისი ცეცხლი თანაბრად ანთია და არასოდეს ამოიფრქვევა. ვულკანის ამოფრქვევა ხომ გაუწმენდავი ღუმელის მილში გაჩენილ ხანძარსა ჰგავს. დედამიწის მკვიდრნი ძალიან პატარები



ვართ და არ ძალგვიძს ამოვწმინდოთ ჩვენი ვულკანები. ამიტომაა, რომ მათ ამდენი უსიამოვნება მოაქვთ ჩვენთვის.

მართალია, გამგზავრების წინ ძალიან დანაღვლიანებული იყო, მაგრამ მაინც ამოძირკვა ახლად ამოწვერილი ბაობაბის ფესვები. მას ეგონა, რომ აღარასოდეს დაბრუნდებოდა და ეს ჩვეულებრივი სამუშაო განსაკუთრებულ სიამოვნებას გვრიდა იმ დილით. როდესაც უკანასკნელად მორწყო ყვავილი და სარქველი უნდა დაეხურა, თვალები ცრემლით აევსო.

— მშვიდობით, — უთხრა მან ყვავილს.

მაგრამ ყვავილმა ხმა არ გასცა.

— მშვიდობით, — გაუმეორა პატარა უფლისწულმა.

ყვავილმა დაახველა. მაგრამ ეს გაციების ბრალი არ იყო.

— სულელი ვიყავი, — თქვა ყვავილმა ბოლოს. — მომიტევე და ეცადე, ბედნიერება ჰპოვო.

პატარა უფლისწული გააოცა იმან, რომ ყვავილს საყვედური არ უთქვამს. იგი ადგილზე გაქვავდა, შეცბუნებული და დაბნეული. ვერ გაეგო ამ უჩვეულო სინაზის მიზეზი:

— დიახ, მიყვარხარ, — განაგრძო ყვავილმა. — ჩემი ბრალია, რომ ეს არ იცოდი. თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენც ჩემსავით სულელი იყავი. გისურვებ ბედნიერებას... ეს მინის სარქველი კი გადააგდე, ახლა იგი აღარ მჭირდება.

— კი მაგრამ, ქარი...

— არც ისე გაციებული ვარ... ღამის სიგრილე მარგებს კიდეც. მე ხომ ყვავილი ვარ.

— მაგრამ ნადირებმა რომ...

— თუ პეპლების გაცნობა გსურს, ორი ან სამი მუხლუხას ატანაც უნდა შესძლო. პეპლები, ალბათ, ძალიან ლამაზები არიან. მათ გარდა სხვა ვინლა მომაკითხავს? შენ ხომ შორს იქნები. დიდი ნადირისა კი არ მეშინია. მეც ხომ მაქვს ბრჭყალები, — და მან თავისი ოთხი ეკალი დაანახა პატარა უფლისწულს.

— ნუღა აყოვნებ, — დასძინა მან. — ეს აუტანელია! რაკი წასვლა გადაწყვიტე, წადი.

მას არ უნდოდა, რომ პატარა უფლისწულს მისი ცრემლები დაენახა. იგი ძალიან ამაყი ყვავილი იყო.

## X

პატარა უფლისწულის პლანეტის ყველაზე ახლო მეზობლები იყვნენ ასტეროიდები — 325, 326, 327, 328, 329 და 330 და მან გადაწყვიტა, უწინარეს ყოვლისა. ეს პლანეტები დაეთვალიერებინა, რომ უქმად არ ყოფილიყო და ცოდნაც შეეძინა.

პირველ ასტეროიდზე ერთი მეფე ცხოვრობდა. მას ძოწეული და ყარყუმის ბეწვი ემოსა და ძალიან უბრალო, მაგრამ მაინც ძალიან დიდებულ ტახტზე იჯდა.



— აა, აი, ჩემი ქვეშევრდომიც! — წამოიძახა მეფემ პატარა უფლისწულის დანახვისთანავე.

„ნეტავ ვინ ვგონივარ? — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. — იგი ხომ პირველად მხედავს!“

მან არ იცოდა, რომ მეფეები ძალიან მარტივად ხედავენ ქვეყანას: მათთვის ყველა ადამიანი ქვეშევრდომია.

— მომიახლოვდი, რომ უფრო კარგად დაგინახო, — ბრძანა მეფემ, რომელიც უზომოდ ამაყობდა, რომ ერთი ქვეშევრდომი მაინც ჩაიგდო ხელში.

პატარა უფლისწულმა თვალი მოავლო იქაურობას, იქნებ სადმე ჩამოვჯდეო, მაგრამ ყარყუმის მშვენიერი მოსასხამი მთელ პლანეტას ფარავდა. იგი ისევ ისე იდგა ფეხზე, მერე კი დაქანცულმა უნებლიეთ დაამთქნარა.

— ეტიკეტის თანახმად, არავის აქვს უფლება, მეფის წინაშე დაამთქნაროს, — თქვა მეფემ — გიკრძალავ მთქნარებას.

— თავი ვერ შევიკავე, — მიუგო დარცხვენილმა პატარა უფლისწულმა, — დიდი ხანია გზაში ვარ და არ მიძინია.

— რაკი ეგრეა, — თქვა მეფემ, — გიბრძანებ, დაამთქნარო, დიდი ხანია არავის მთქნარება არ მინახავს. სა-

ინტერესო სანახაობაა. აბა, დაამთქნარე. ასეთია ჩემი ბრძანება.

— მერიდება, არ შემიძლია... — ამოილუღლუღა პატარა უფლისწულმა და გაწითლდა.

— ჰმ, ჰმ... რაკი ეგრეა, გიბრძანებ, ხან ამთქნარო, ხან კიდევ...

მეფემ რაღაც წაიბურტყუნა და თითქოს გაბრაზდა კიდეც.

მეფისათვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ უყოყმანოდ დამორჩილებოდნენ მის ბრძანებას. იგი ვერ იტანდა ურჩობას. იგი აბსოლუტური მონარქი იყო. მაგრამ ვინაიდან კეთილი მეფე იყო, გონივრულ ბრძანებებს იძლეოდა.

„თუ ჩემს გენერალს ვუბრძანე, თოლიად იქცეს და მან ბრძანება ვერ შეასრულა, ეს ჩემი ბრალი იქნება და არა მისიო", — ამბობდა იგი.

— შეიძლება, დავჯდე? — გაუბედავად შეეკითხა პატარა უფლისწული.

— გიბრძანებ, დაჯდე, — მიუგო მეფემ და ზვიადად აიკრიფა ყარყუმის მოსასხამის კალთა.

პატარა უფლისწული გაოცებული იყო: პლანეტა ასე პატარაა და ვისზე მბრძანებლობს ეს ხელმწიფეო.

— თქვენო უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ, ერთი რამ გკითხოთ.

— გიბრძანებ. მკითხო, — სწრაფად მიუგო მეფემ.

— თქვენო უდიდებულესობავ... ვისზე მბრძანებლობთ?

— ყველაფერზე, — უბრალოდ მიუგო მეფემ.

— ყველაფერზე?

მეფემ თავის პლანეტაზე, მეზობელ პლანეტაზე და ვარსკვლავებზე მიუთითა.

— ნუთუ ეს ყველაფერი თქვენი საბრძანებელია? — ჰკითხა პატარა უფლისწულმა.

— ყველაფერი, — მიუგო მეფემ. იგი ხომ არამარტო აბსოლუტური მონარქი, არამედ მსოფლიო მონარქიც იყო.

— ვარსკვლავებიც თქვენ გემორჩილებათ?

— რა თქმა უნდა, — მიუგო მეფემ. — ისინი დაუყოვნებლივ ასრულებენ ჩემს ნება-სურვილს. ურჩობას ვერ ვიტან.

ასეთმა ძალაუფლებამ აღტაცებაში მოიყვანა პატარა უფლისწული. მას რომ ამდენი ძალა ჰქონოდა, მზის ჩასვლას ორმოცდაოთხჯერ კი არ იხილავდა, არამედ სამოცდათორმეტჯერ, ასჯერ და ორასჯერაც კი, ისე, რომ ერთხელაც არ გადააადგილებდა სკამს. თავისი მიტოვებული პლანეტის მოგონებაზე პატარა უფლისწულს სევდა შემოაწვა და ამან გაუბედვინა, რომ ეთხოვნა:

— მინდოდა, მზის ჩასვლა დამენახა... მოიღეთ მოწყალება... უბრძანეთ მზეს, რომ ჩავიდეს.

— მე რომ გენერალს ვუბრძანო, ყვავილიდან ყვავილზე პეპელასავით იფრინე, ტრაგედია დაწერე ან თოლიად იქეცი-მეთქი და მან ბრძანება ვერ შეასრულოს, ვინ იქნება დამნაშავე, ის თუ მე?

— თქვენ, — მტკიცედ მიუგო პატარა უფლისწულმა.

— სრული სიმართლეა, — დაუდასტურა მეფემ. — ყოველ ადამიანს ის უნდა მოსთხოვო, რისი გაკეთებაც ძალუძს. ძალაუფლება, უპირველეს ყოვლისა, გონიერებას უნდა ემყარებოდეს. თუ ხალხს ზღვაში გადავარდნას უბრძანებ, რევოლუციას მოგიწყობს. მე უფლება მაქვს, მორჩილება მოვითხოვო, რადგან ჩემი ბრძანებები გონივრულია.

— კი მაგრამ, მზის ჩასვლა? — მოაგონა პატარა უფლისწულმა, რომელიც, რაკი ერთხელ შეგეკითხებოდათ რაიმეს, არ დაგეხსნებოდათ, სანამ პასუხს არ მიიღებდა.

— მზის ჩასვლასაც იხილავ: ვუბრძანებ, რომ ჩაესვენოს, მაგრამ, ხელმწიფობის სიბრძნის თანახმად, ხელსაყრელ პირობებს დაველოდები.

— როდის დადგება ეს პირობები?

— ჰმ, ჰმ, — წაიბურტყუნა მეფემ და სქელ კალენდარს დაუწყო ფურცვლა. — ეს იქნება... ჰმ... დღეს ეს იქნება შვიდ საათსა და ორმოც წუთზე. მაშინ დარწმუნდები, როგორ სრულდება ჩემი ბრძანება.

პატარა უფლისწულმა დაამთქნარა. დასანანი იყო, რომ აქ მზის ჩასვლას მაშინ ვერ ნახავდა, როცა მოისურვებდა. და, გარდა ამისა, აქ ცოტათი მოსწყინდა კიდეც.

— მე აქ საქმე აღარაფერი მაქვს, — უთხრა მან მეფეს. — ისევ უნდა გავუდგე გზას.

— ნუ წახვალ, — მიუგო მეფემ. იგი ხომ ამაყობდა, რომ ერთი ქვეშევრდომის მბრძანებელი გახდა. — დარჩი და მინისტრად დაგნიშნავ.

— რის მინისტრად?

— მე შენ დაგნიშნავ... იუსტიციის მინისტრად!

— მაგრამ აქ რომ არავინაა გასასამართლებელი?

— ვინ იცის, — მიუგო მეფემ. — მე ჯერ კიდევ არ შემომივლია ჩემი სამეფო. ძალიან მოვხუცდი. ეტლისთვის ადგილი არა მაქვს, ფეხით სიარული კი მიჭირს.

პატარა უფლისწული წინ გადაიხარა და ისევ მოავლო პლანეტის მეორე მხარეს თვალი.

— მე უკვე დავათვალიერე მთელი პლანეტა! — წამოიძახა მან. — კაცის ჭაჭანება არსადაა...

— მაშინ საკუთარი თავი გაასამართლე, — უთხრა მეფემ. — ეს ყველაზე ძნელი საქმეა. საკუთარი თავის გასამართლება უფრო ძნელია, ვიდრე სხვებისა. თუ შესძლებ, სწორი მსჯავრი დასდო შენს თავს, ნამდვილი ბრძენი იქნები.

— საკუთარ თავს მე ყველგან გავასამართლებ, — მიუგო პატარა უფლისწულმა. — ამისთვის აქ დარჩენა არ არის საჭირო.

— ჰმ, ჰმ... — წარმოთქვა მეფემ. — მგონი, ჩემს პლანეტაზე, სადღაც, ერთი ბებერი ვირთხა ცხოვრობს. ღამღამობით მესმის ხოლმე მისი ფხაკუნი. შეგიძლია ის გაასამართლო. დროდადრო სიკვდილს მიუსაჯი. მისი სიცოცხლე შენს მართლმსაჯულებაზე იქნება დამოკიდებული. მერე კი ყოველთვის შეიწყალებ. ვირთხას უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან მის გარდა არავინა გვყავს.

— არ მიყვარს სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, — თქვა პატარა უფლისწულმა, — მიჯობს, გზას გავუდგე.

— ნუ წახვალ, — უთხრა მეფემ.

პატარა უფლისწული უკვე მზად იყო წასასვლელად, მაგრამ არ უნდოდა, ეწყენინებინა მოხუცი მეფისთვის.

— თუ თქვენს უდიდებულესობას ნებავს, რომ მისი ბრძანება უსიტყვოდ სრულდებოდეს, — თქვა მან, — გონივრული ბრძანება უნდა გასცეს. მაგალითად, თქვენ შეგეძლოთ გებრძანებინათ ჩემთვის, დაუყოვნებლივ გავდგომოდი გზას. მგონია, ახლა ამისთვის ძალიან ხელსაყრელი პირობებია...

მეფემ არაფერი უპასუხა. პატარა უფლისწულმა ერთ ხანს უცადა. მერე კი ამოიოხრა და გაუდგა გზას.

— ჩემს ელჩად გნიშნავ! — სწრაფად მიაძახა მას მეფემ მბრძანებლის მედიდური იერით.

„უცნაური ხალხია დიდები", — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა და განაგრძო გზა.

## XI

მეორე პლანეტაზე ერთი პატივმოყვარე კაცი ცხოვრობდა.

— აი, ჩემი თაყვანისმცემელიც! — წამოიძახა მან, როგორც კი თვალი მოჰკრა პატარა უფლისწულს.

პატივმოყვარე კაცის თვალში ხომ ყველა ადამიანი მისი თაყვანისმცემელია.

— გამარჯობა, — მიესალმა მას პატარა უფლისწული. — რა სასაცილო ქუდი გხურავთ!

— ამ ქუდით მე სალამს ვიძლევი, — მიუგო პატივმოყვარემ. — როცა აღფრთოვანებით მესალმებიან, ქუდს ვიხდი ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არავინ მოდის.

— მართლა? — შეეკითხა პატარა უფლისწული, თუმცა ვერაფერს მიხვდა.



— აბა, ტაში შემოჰკარი, — უთხრა პატივმოყვარემ.

პატარა უფლისწულმა ტაში შემოჰკრა; პატივმოყვარემ ქუდი მოიხადა და მოწიწებით დაუკრა თავი.

„აქ უფრო გაერთობა კაცი, ვიდრე მეფესთან", — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა და ისევ შემოჰკრა ტაში. პატივმოყვარემ კვლავ მოიხადა ქუდი და დაუკრა თავი.

ასე გაგრძელდა ხუთი წუთი. ბოლოს პატარა უფლისწული დაიღალა ამ ერთფეროვანი თამაშით.

— რა უნდა ქნას კაცმა, რომ ეგ ქუდი დაგივარდეს? — შეეკითხა პატარა უფლისწული.

მაგრამ პატივმოყვარეს არ გაუგონია მისი ნათქვამი: პატივმოყვარეებს ქების გარდა არაფერი ესმით.

— ხომ ნამდვილადა მცემ თაყვანს? — შეეკითხა იგი პატარა უფლისწულს.

— რა არის თაყვანისცემა?

— თაყვანისცემა იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ამ პლანეტაზე მე ყველაზე ლამაზი, ყველაზე მოხდენილი, ყველაზე მდიდარი და ყველაზე ჭკვიანი კაცი ვარ.

— მაგრამ შენ ხომ მარტო ხარ ამ პლანეტაზე.

— მაამე და მეცი თაყვანი.

— თაყვანს გცემ. — უთხრა პატარა უფლისწულმა და ოდნავ აიჩეჩა მხრები. — მაგრამ რად გინდა ეს თაყვანისცემა?

და იგი სწრაფად გაეცალა იქაურობას.

„დიდები მართლაც უცნაური ხალხია", — გაიფიქრა მან და განაგრძო გზა.

## XII

მომდევნო პლანეტაზე ლოთი ცხოვრობდა. პატარა უფლისწულმა სულ ცოტა ხანი დაჰყო მასთან, მაგრამ ამ პლანეტაზე ნანახმა საგონებელში ჩააგდო.

— რას აკეთებ აქ? — ჰკითხა მან ლოთს, რომელიც მდუმარედ იჯდა და წინ აურაცხელი ცარიელი და სავსე ბოთლი ელაგა.

— ვსვამ, — პირქუშად მიუგო ლოთმა.

— რატომ სვამ?

— რომ დავივიწყო.

— რა უნდა დაივიწყო? — ისევ შეეკითხა პატარა უფლისწული, რომელსაც უკვე ებრალებოდა იგი.

— დავივიწყო, რომ მრცხვენია, — განდო ლოთმა და თავი ჩაქინდრა.

— რისი გრცხვენია? — შეეკითხა პატარა უფლისწული და ძალიან მოუნდა, რომ დახმარებოდა მას.

— მრცხვენია, რომ ვსვამ!.. — დაასრულა საუბარი ლოთმა და დადუმდა.

პატარა უფლისწული დაიბნა.

„დიდები მართლაც ძალიან უცნაური ხალხია", — გაიფიქრა მან და განაგრძო გზა.



## XIII

მეოთხე პლანეტა საქმოსანს ეკუთვნოდა. იგი ისე იყო ჩაფლული საქმეში, რომ არც კი აუღია თავი პატარა უფლისწულის გამოჩენისას.



— გამარჯობა, — მიესალმა მას პატარა უფლისწული. — სიგარეტი ჩაგქრობიათ.

— სამს მივუმატოთ ორი, იქნება ხუთი. ხუთი და შვიდი — თორმეტი. თორმეტი და სამი — თხუთმეტი. გაგიმარჯოს. თხუთმეტი და შვიდი — ოცდაორი. ოცდაორი და ექვსი — ოცდარვა. იმის დროც კი არა მაქვს, რომ სიგარეტს მოვუკიდო. ოცდაექვსი და ხუთი — ოცდათერთმეტი. უჰ... სულ იქნება ხუთას ერთი მილიონ ექვსას ოცდაორი ათას შვიდას ოცდათერთმეტი.

— რა ხუთასი მილიონი?.. — შეეკითხა პატარა უფლისწული.

— აა, შენ ისევ აქა ხარ? ხუთასი მილიონი... არც კი ვიცი, რა... იმდენი საქმე მაქვს. მე სერიოზული კაცი ვარ, სალაყბოდ არა მცალია! ორს მივუმატოთ ხუთი, იქნება შვიდი...

— რა ხუთასი მილიონი? — გაუმეორა პატარა უფლისწულმა. იგი ხომ ვერ დამშვიდდებოდა, სანამ პასუხს არ მიიღებდა. საქმოსანმა თავი ასწია.

— ორმოცდათოთხმეტი წელია, რაც ამ პლანეტაზე ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ შემიშალეს ხელი. პირველად, ამ ოცდაორი წლის წინათ, ღმერთმა იცის, საიდან გაჩნდა მაისის ხოჭო და ისეთი საშინელი ბზუილი ატეხა, რომ ოთხი შეცდომა მომივიდა ანგარიშში. მეორედ — ეს იყო თორმეტი წლის წინათ, ნეკრესის ქარმა დამრია ხელი. ალბათ იმიტომ, რომ არა ვვარჯიშობ. საყიალოდ არა მცალია. მე საქმის კაცი ვარ. მესამედ კი, აი!.. ჰო, სად შევჩერდი? ხუთას ერთი მილიონ...

— რა იქნება ხუთასი მილიონი? საქმოსანი მიხვდა, რომ ასე ადვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ვერ 'დაიპყნიდა თავს.

— ხუთასი მილიონი აი, ის პატარა რაღაცეები, ხანდახან რომ მოჩანს ცაზე.

— ბუზები?

— არა, პაწაწინები, რომ ციმციმებენ...

— ფუტკრები?

— არა, არა, სულ პაწაწკინტელები რომ არიან, ოქროსფერები. უქნარებს რომ ამაო ოცნებებს აღუძრავენ ხოლმე. მაგრამ მე ოცნებისთვის არა მცალია, მე საქმის კაცი ვარ.

— აა, ვარსკვლავები?

— ჰო, ჰო, ვარსკვლავები.

— მერე, რად გინდა ხუთასი მილიონი ვარსკვლავი?

— ხუთას ერთი მილიონ ექვსას ოცდაორი ათას შვიდას ოცდათერთმეტი. მე საქმის კაცი ვარ და სიზუსტე მიყვარს.

— კი მაგრამ, რად გინდა ამდენი ვარსკვლავი?

— რად?

— ჰო.

— ალარაფრად. მე მათი მფლობელი ვარ.

— ვარსკვლავების მფლობელი?

— დიახ.

— მაგრამ უკვე ვნახე ერთი მეფე, რომელიც...

— მეფეები არაფერს ფლობენ. ისინი მხოლოდ „მეფობენ". ეს სრულიად სხვადასხვა რამაა.

— მერე, რად გინდა ვარსკვლავები?

— მათ სიმდიდრე მოაქვთ ჩემთვის.

— სიმდიდრე რაღად გინდა?

— სხვა ვარსკვლავების საყიდლად, თუ ისინი ვინმემ აღმოაჩინა.

„ესეც თითქმის ისე მსჯელობს, როგორც ის ლოთი", — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა და ისევ შეეკითხა:

— როგორ შეიძლება გახდეს კაცი ვარსკვლავების მფლობელი?

— ვის ეკუთვნიან ვარსკვლავები? — წამოიღრინა უცბად საქმოსანმა.

— არ ვიცი. არავის.

— მაშასადამე, ისინი მე მეკუთვნიან, რადგან პირველად მე მოვიფიქრე მათი მფლობელობა.

— და ეს საკმარისია?

— რა თქმა უნდა. თუ შენ ალმასს იპოვი, რომელიც არავის ეკუთვნის, იგი შენია. თუ შენ აღმოაჩენ კუნძულს, რომელიც არავის ეკუთვნის, იგი შენია. თუ შენ სხვაზე ადრე მოიფიქრე რაიმე, შენ შეგიძლია, პატენტი მოითხოვო, იგი შენი კუთვნილებაა. მე ვარსკვლავების მფლობელი ვარ, რადგან ჩემამდე არავის უფიქრია, დაპატრონებოდა მათ.

— ეს მართალია, — თქვა უფლისწულმა. — მერე, რად გინდა ისინი?

— ისინი ჩემს განკარგულებაში არიან, — მიუგო საქმოსანმა. — მე მათ ვითვლი და შემდეგ ისევ თავიდან ვითვლი. ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ მე საქმის კაცი ვარ!

პატარა უფლისწული მაინც ვერ დააკმაყოფილა პასუხმა.

— მე თუ აბრეშუმის ყელსახვევი მაქვს, შემიძლია ყელზე მოვიხვიო და თან ვატარო, — თქვა მან. — მე თუ ყვავილი მაქვს, შემიძლია მოვწყვიტო და ისიც თან ვატარო. მაგრამ შენ ხომ არ შეგიძლია, მოწყვიტო ვარსკვლავი!

— არა, მაგრამ მე შემიძლია, ბანკში შევინახო იგი.

— რას ნიშნავს ეს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე პატარა ქაღალდზე ვწერ ჩემი ვარსკვლავების რიცხვს, შემდეგ ამ ქაღალდს უჯრაში ვდებ და გასაღებით ვკეტავ.

— მეტი არაფერი?

— ეს სავსებით საკმარისია.

„კარგი გასართობია! — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა, — და საკმაოდ პოეტურიც, მაგრამ არცთუ ისე სერიოზული".

სერიოზულობაზე მას საკუთარი შეხედულება ჰქონდა, რაც ძალიან განსხვავდებოდა დიდების შეხედულებისაგან.

— ჩემს პლანეტაზე, — თქვა მან, — არის ერთი ყვავილი, რომელსაც ყოველ დილას ვრწყავ, და სამი ვულკანი, რომლებსაც კვირაში ერთხელ ვასუფთავებ. მათ შორის — ჩამქრალ ვულკანსაც. ვინ იცის, რა მოხდება. ჩემი მფლობელობა ვულკანებისთვისაც სასარგებლოა და ყვავილისთვისაც. მაგრამ შენ არაფერს არ რგებ ვარსკვლავებს...

საქმოსანმა პირი გააღო, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და პატარა უფლისწული გაეცალა მას.

„დიდები ნამდვილად საოცარი ხალხია", — გაიფიქრა მან და განაგრძო გზა.

## XIV

მეხუთე პლანეტა ძალიან საინტერესო პლანეტა იყო, მაგრამ იგი ყველაზე პატარა აღმოჩნდა. პლანეტაზე ისე ცოტა ადგილი იყო, რომ მხოლოდ ერთი ფარანი და მეფარნე ეტეოდა. პატარა უფლისწული ვერ მიმხვდარიყო, რა საჭირო იყო ფარანი და მეფარნე სადღაც ცაში მიკარგულ პატარა უკაცრიელ პლანეტაზე, სადაც სახლიც კი არ იდგა.

„იქნებ ამ კაცის ცხოვრება არც ისე უაზროა, როგორც მეფის, პატივმოყვარისა და საქმოსნისა, — გაიფიქრა მან. — მის სამუშაოს რაღაც აზრი



მაინცა აქვს. როცა იგი თავის ფარანს ანთებს, თითქოს ერთი ახალი ვარსკვლავი ან ყვავილი ჩნდება ქვეყნად. ხოლო როდესაც ფარანს აქრობს, თითქოს აძინებს ვარსკვლავს ან ყვავილს. მშვენიერი საქმეა და ნამდვილად სასარგებლოც, რადგან ლამაზია".

და მიუახლოვდა თუ არა ამ პლანეტას, პატივისცემით მიესალმა მეფარნეს.

— გამარჯობა! რატომ ჩააქრე ფარანი?

— ასეა დაწესებული, — მიუგო მეფარნემ. — დილა მშვიდობისა.

— რა არის დაწესებული?

— ის, რომ ფარანი ჩავაქრო. საღამო მშვიდობისა.

და მან ხელახლა აანთო ფარანი.

— ხელმეორედ რატომ აანთე?

— ასეა დაწესებული, — გაიმეორა მეფარნემ.

— ვერაფერი გავიგე, — თქვა პატარა უფლისწულმა.

— აქ გაუგებარი არაფერია, — უპასუხა მეფარნემ. — წესი წესია. დილა მშვიდობისა.

და ისევ ჩააქრო ფარანი.

შემდეგ წითელუჯრედებიანი ხელსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და თქვა:

— ძნელი ხელობა მაქვს. ოდესღაც ამ სამუშაოს აზრი ჰქონდა. დილით ჩავაქრობდი ხოლმე ფარანს, საღამოს კი ისევ ავანთებდი. დახარჩენ დროს ვისვენებდი, ღამით კი მეძინა...

— მას შემდეგ წესი შეიცვალა?

— არა, წესი არ შეცვლილა და უბედურებაც ეს არის! საქმე ისაა, რომ, რაც დრო გადის, პლანეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებს, წესი კი უცვლელი რჩება!

— მერე? — შეეკითხა პატარა უფლისწული.

— მერე და, პლანეტის სრულ შემობრუნებას ახლა მხოლოდ ერთი წუთი სჭირდება და ერთი წუთითაც ვეღარ ვისვენებ. ყოველ წუთს ვანთებ და ვაქრობ ფარანს.

— საოცარია! მაშ, შენთან დღე მხოლოდ ერთ წუთს გრძელდება!

— საოცარი არაფერია, — მიუგო მეფარნემ, — ჩვენ უკვე მთელი თვეა, ვსაუბრობთ.

— მთელი თვე?

— დიახ. ოცდაათი წუთი. ოცდაათი დღე. საღამო მშვიდობისა.

და კვლავ აანთო ფარანი.

პატარა უფლისწული შეჰყურებდა მეფარნეს და უფრო და უფრო მოსწონდა ეს კაცი, რომელიც ასე ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას. უცებ მოაგონდა, როგორ გადადგამდა ხოლმე თავის პლანეტაზე სკამს, რომ უფრო დიდხანს ეცქირნა მზის ჩასვლისთვის, და მეგობრის დახმარება განიზრახა.

— მე ერთ ხერხს გასწავლი და, როცა მოისურვებ, შეგიძლია დაისვენო... — უთხრა მას პატარა უფლისწულმა.

— მე ეგ მუდამ მსურს, — თქვა მეფარნემ, რადგან შეიძლება კაცი საქმის ერთგულიც იყოს და თან ზარმაციც.

პატარა უფლისწულმა განაგრძო:

— შენი პლანეტა იმდენად პატარაა, რომ შეგიძლია, სამი ნაბიჯით შემოიარო. ოღონდ ისე უნდა იარო, რომ მზე მუდამ დაგყურებდეს. დასვენება რომ მოგინდება, იარე, იარე — და დღეც იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენსაც მოისურვებ.

— ეგ მე ბევრს ვერაფერს მიშველის, — თქვა მეფარნემ. — მე ხომ ძილი ყველაფერს მირჩევნია.

— მაშ, ცუდად ყოფილა შენი საქმე, — თანაგრძნობით უთხრა მას პატარა უფლისწულმა.

— დიახ, ცუდადაა, — დაუდასტურა მეფარნემ. — დილა მშვიდობისა.

და ჩააქრო თავისი ფარანი.

„ამ კაცს, — ფიქრობდა გზაში პატარა უფლისწული, — ალბათ მეფეც აბუჩად აიგდებდა, პატივმოყვარეც, ლოთიც და საქმოსანიც. ჩემი აზრით კი, მათ შორის მხოლოდ ეგ არ არის სასაცილო. ალბათ მარტო თავის თავზე რომ არ ზრუნავს, იმიტომ.

პატარა უფლისწულმა ღრმად ამოიოხრა: „აი, ერთადერთი კაცი, რომელსაც მე დავუმეგობრდებოდი, გაიფიქრა მან. — მაგრამ მისი პლანეტა მართლაც ძალიან პატარაა ორი კაცისათვის...“

პატარა უფლისწულს თავისი თავისთვისაც ვერ გაემხილა, რომ ამ პლანეტასთან გამოთხოვებამ იმიტომაც დასწყვიტა გული, რომ დღე-ღამეში აქ ათას ოთხას ორმოცჯერ შეეძლო ენახა მზის ჩასვლა.

## XV

მეექვსე პლანეტა წინანდელთან შედარებით უფრო დიდი იყო. ამ პლანეტაზე ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობდა, რომელიც ვეება წიგნებს წერდა.



— აი, მოგზაურიც! — წამოიძახა მან, როგორც კი პატარა უფლისწულს მოჰკრა თვალი.

პატარა უფლისწული მაგიდაზე ჩამოჯდა, რომ სული მოეთქვა, მან ხომ ამდენი იმოგზაურა!

— სადაური ხარ? — ჰკითხა მოხუცმა.

— რა წერია ამ დიდ წიგნში? — კითხვითვე უპასუხა პატარა უფლისწულმა. — რას აკეთებთ?

— მე გეოგრაფი ვარ, — მიუგო მოხუცმა.

— რა არის გეოგრაფი?

— გეოგრაფი სწავლულია, რომელმაც იცის, სად მდებარეობს ესა თუ ის ზღვა, მდინარე, ქალაქი, მთა და უდაბნო.

— ძალიან საინტერესოა! — თქვა პატარა უფლისწულმა. — როგორც იქნა, დავინახე ადამიანი, რომელსაც ნამდვილი საქმე აქვს.

და მან თვალი მოავლო გეოგრაფის პლანეტას. ასეთი დიდებული პლანეტა ჯერ არ ენახა.

— რა ლამაზია! ოკეანეები თუ არის თქვენს პლანეტაზე?

— ვერ გეტყვი, — თქვა გეოგრაფმა.

— ა! — პატარა უფლისწული არ მოელოდა ასეთ პასუხს. — არც მთები?

— ვერც მაგაზე გიპასუხებ.

— ქალაქები, მდინარეები ან უდაბნოები?

— ვერც მაგაზე გეტყვი რამეს. რაც არ ვიცი, არ ვიცი, — მიუგო გეოგრაფმა.

— მაგრამ თქვენ ხომ გეოგრაფი ხართ?

— დიახ. — მიუგო გეოგრაფმა. — გეოგრაფი, და არა მოგზაური. მე ერთი მოგზაურიც არა მყავს ჩემს პლანეტაზე. გეოგრაფის საქმე არ არის ქალაქების, მდინარეების, მთების, ზღვების, ოკეანეებისა და უდაბნოების დათვალიერება. გეოგრაფი ვერ იხეტიალებს. იგი თავის საწერ მაგიდასთან უნდა იჯდეს, სამაგიეროდ, იგი მოგზაურებს იღებს, შეკითხვებს აძლევს მათ და იწერს თითოეულის ნაამბობს, ამოწმებს, წესიერი კაცია თუ არა მოგზაური.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თუ მოგზაურმა ტყუილი თქვა, გეოგრაფიის წიგნში ყველაფერი აირევა. ასევე უნდა შემოწმდეს იმ მოგზაურის ნაამბობიც, რომელიც ღვინოს ეტანება.

—რატომ? — იკითხა პატარა უფლისწულმა

— იმიტომ, რომ მთვრალ კაცს ყველაფერი ორად ეჩვენება. და გეოგრაფი, რომელიც მას დაუჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს, ერთი მთის მაგიერ ორს ჩაიწერს.

— მე ერთ კაცს ვიცნობ, — თქვა პატარა უფლისწულმა. — იგი ალბათ ძალიან ცუდი მოგზაური იქნებოდა.

— შეიძლება. ამრიგად, თუ მოგზაური წესიერი კაცი ჩანს, მის აღმოჩენას ამოწმებენ.

— მიდიან და ნახულობენ?

— არა, ეს ძალიან გაართულებდა საქმეს. უბრალოდ, მოგზაურს დამამტკიცებელ საბუთებს თხოვენ, მაგალითად, თუ მან დიდი მთა აღმოაჩინა, ამის დასამტკიცებლად იმ მთიდან ქვები უნდა მოიტანოს.

გეოგრაფი უცებ გამოცოცხლდა.

— შენც ხომ შორეული ქვეყნიდან ჩამოხვედი! მაშასადამე, შენც მოგზაური ხარ! ამიწერე შენი პლანეტა!

გეოგრაფმა თავისი დავთარი გადაშალა და ფანქარს წვერი წაუმახა. მოგზაურის ნაამბობს ჯერ ფანქრით იწერენ ხოლმე, მერე კი, როცა მოგზაური სათანადო დამამტკიცებელ საბუთებს წარმოადგენს, მელნით გადაიწერენ.

— აბა, ჯისმენ, — თქვა გეოგრაფმა.

— ჩემი პლანეტა არც ისე საინტერესოა, — თქვა პატარა უფლისწულმა. — იგი სულ პატარაა, იქ სამი ვულკანია, ორი მოქმედი, ერთი კი — ჩამქრალი. თუმცა ვინ იცის...

— დიახ, ვინ იცის, რა მოხდება, — კვერი დაუკრა გეოგრაფმა.

— ერთი ყვავილიცა მაქვს.

— ჩვენ ყვავილებს არ აღვნიშნავთ, —თქვა გეოგრაფმა.

— რატომ? იგი ყველაზე ლამაზია ჩემს პლანეტაზე.

— იმიტომ, რომ ყვავილი ეფემერულია.

— რა არის „ეფემერული?“

— გეოგრაფის წიგნები ყველაზე ძვირფასი წიგნებია და არასოდეს ძველდება. მთა ძალიან იშვიათად იცვლის ადგილს და ოკეანეც ძალიან იშვიათად შრება. ჩვენ მხოლოდ მარადიულ საგნებზე ვწერთ.

— მაგრამ ჩამქრალმა ვულკანმა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გაიღვიძოს. — შეაწყვეტინა პატარა უფლისწულმა. — რა არის „ეფემერული?“

— ჩამქრალია ვულკანი თუ მოქმედი, ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა გეოგრაფმა. — ჩვენთვის მთავარია მთა. იგი არ იცვლება.

— კი მაგრამ, რა არის „ეფემერული?“ — ისევ გაუმეორა პატარა უფლისწულმა, რადგან ვერ მოისვენებდა, სანამ კითხვაზე პასუხს არ მიიღებდა.

— ეფემერული არის ის, რასაც დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია.

— მაშ, ჩემს ყვავილს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია?

— რა თქმა უნდა.

„ჩემი ყვავილი ეფემერულია, — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა. — მას მხოლოდ ოთხი ეკალი აქვს თავის დასაცავად, მე კი მარტოდმარტო მივატოვე იგი ჩემს პლანეტაზე“.

და მან პირველად ინანა, რომ მიატოვა ყვავილი. მაგრამ მერე ისევ მოიკრიბა მხნეობა.

— რომელი ქვეყნის ნახვას მირჩევდით? — ჰკითხა მან გეოგრაფს.

— დედამიწის, — მიუგო გეოგრაფმა. — მას კარგი რეპუტაცია აქვს...

და პატარა უფლისწული გაუდგა გზას, მაგრამ ფიქრებით თავის ყვავილთან იყო.

## XVI

მეშვიდე პლანეტა, რომელსაც იგი ეწვია, დედამიწა იყო. დედამიწა უბრალო პლანეტა არ გეგონოთ! ამ პლანეტაზე ას თერთმეტი მეფეა (მათ შორის, რა თქმა უნდა, ზანგი მეფეებიც), შვიდი ათასი გეოგრაფი, ცხრაასი ათასი საქმოსანი, შვიდი მილიონ ხუთასი ათასი ლოთი და სამას თერთმეტი მილიონი პატივმოყვარე — ესე იგი, სულ, დაახლოებით, ორ მილიარდამდე ადამიანი.

დედამიწის სიდიდე რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ, საკმარისია იცოდეთ, რომ, სანამ ელექტრონს აღმოაჩენდნენ, ექვსივე კონტინენტზე მეფარნეთა მთელი არმია ჰყავდათ, რომელიც ოთხას სამოცდაორი ათას ხუთას თერთმეტი კაცისაგან შედგებოდა.

შორიდან ეს დიდებული სანახაობა იყო. ამ არმიის მოძრაობა საბალეტო დასივით იყო აწყობილი. პირველად სცენაზე ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის მეფარნეები გამოდიოდნენ, აანთებდნენ თავიანთ ფარნებს და დასაძინებლად მიდიოდნენ. შემდეგ რიგრიგობით გამოდიოდნენ ჩინეთისა და ციმბირის მეფარნეები. ჩამოუვლიდნენ წრეს და კულისებში გაიკრიფებოდნენ. მათ შემდეგ დგებოდა რუსეთისა და ინდოეთის მეფარნეთა რიგი. ამათ მოჰყვებოდნენ აფრიკისა და ევროპის, შემდეგ — სამხრეთ ამერიკის, მერე კი — ჩრდილოეთ ამერიკის მეფარნეები და არც ერთს არ ეშლებოდა სცენაზე გამოსვლის რიგი. მართლაც რომ დიდებული სანახაობა იყო!

მხოლოდ ორი მათგანი იყო არხეინად — ის, რომელსაც ჩრდილოეთ პოლუსის ერთადერთი ფარანი უნდა აენთო, და მისი სამხრეთპოლუსელი თანამოძმე. მათ მხოლოდ ორჯერ უნდა შეესრულებინათ წელიწადში თავიანთი მოვალეობა.



# ვაჟა-130





## მოგონებები ვაჟაზე

**ვახტანგ რაზიკაშვილი**
**(ვაჟას ვაჟი)**

... **თავის** ლექსებიდან მამამ მასწავლა: „არწივი“ და „ქორმა წიწილა წაიღო“.

სათამაშოებიდან მამამ პირველად მშვილდ-ისარი გამიკეთა, მერე დანა და მომცრო ხანჯალი. პატარა ცულიც მომიტანა ქალაქიდან. ხანჯალს უბრალო რკინის რბილი პირი ჰქონდა. იმით ვერაფერს ვერ ვთლიდი. მარტო შნოსთვის ვირტყამდი წელზე. დანა კი ფოლადისა იყო და ამ დანით ისრებს, მშვილდსა და წვრილ წნელებს ვჭრიდი ლასტებისათვის.

ბავშვობაში ძალიან თამამი ვიყავი, მოძრავი, ცოცხალი და გაბედული. ამის გამო მეზობლები ზოგი მამუას და ზოგი მამაილას მეძახოდა, უფრო მეტად უფროსი კაცები მეძახოდნენ მამაილას: — როგორ ხარ, მამაილა? — მეტყოდნენ.

პატარაობისას ძალიან მიყვარდა ჩექმები და დანა; როცა ქალაქში ან დუქანში მიდიოდა მამა, სულ ერთთავად ჩექმებსა და დანას ვაბარებდი.

შენი ჭირიმე, მამავ, ჩექმები და „ზავიალოვის დანა“ მომიტანე-მეთქი, — ვეტყოდი. „ზავიალოვის დანას“ მაშინ ეძახდნენ ერთნაირ, შავტარიან ფოლადის დანას, კვესადაც ვარგოდა — ტალზე აბედს უკიდებდა; საქონლის მწყემსობის დროს, როცა გინდოდა, ცეცხლს გააჩაღებდა, ჭრაც კარგი ჰქონდა.

ჩექმას ჩემთვის ყოველთვის ვერ შოულობდა, დანები კი ხშირად მოჰქონდა ხოლმე, მაგრამ მე დანას მალმალე ვკარგავდი — ერთთავად სულ ჩხირებს ვთლიდი. ტყეში მეკარგებოდა და დღენიადაგ მე და დედაჩემი ძებნით ვიყავით გართული.

გამოირჩეოდნენ ისეთები, ვისთვისაც მიუწვდომელი რჩებოდა ვაჟას დიდი ნიჭი და მაღალი გონება; სამაგიეროდ, ბევრი იყო მოხიბლული მისი ვაჟკაცობითა და გამბედაობით. ჩვენმა ვაჟამ ბოქაულს დასთხლიშაო! ჩვენს ვაჟას „მიროიპოსრედნიკისთვის“ გაურტყამსო; ა, ბიჩავ, ეგეთა უნდა ვაჟიაო! ვაჟა რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდაო! — იტყოდნენ ხოლმე ფშაველები. შენ კი ვერ იქნები, ბალღო, ეგეთიო? — სიხარულით, სიცილით მეკითხებოდნენ, მეც დავთხლეშ ბოქაულს მეთქი, — ვუპასუხებდი ყველას და იმათაც უხაროდათ ჩემი პასუხი...

როგორც ახლა ვაკვირდები, მამაჩემი მაინცდამაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი მეურნე არ გახლდათ, თუმცა ყველაფერი ემარჯვებოდა. იმის ხელით გაუკეთებელი არაფერი რჩეოდა. თვითონ აკეთებდა ულლებს, ტაბიკებს, ცულის ტარს, ნიჩბებს, წნავდა ლასტებს, მართავდა საბძლებს, აწყობდა ლატანს, თლიდა საბძლის კავებს, აკეთებდა მარხილებს და სხვა.

ყველაფერს თავისებურად აკეთებდა, სხვების ნახელავს არა ჰბაძავდა, რაღაც ახალი შეჰქონდა საქმეში. ხშირად ეს ახალი უვარგისი იყო, მაგრამ მაინც თავისებურად გაკეთებული მოსწონდა.

მამა კარგად აგებდა ყორეს. ორი ყორული აქვს თავისი ხელით გაკეთებული. დღემდის არის დარჩენილი ჩვენს სახლთან, ნასკოლარის ბოლოზე, ვაჟას ხელით აგებული ქვის ყორე. კიდევაც დიდხანს გაძლებს ის ყორე. ქვები ლამაზად არის ერთმანეთზე გადაბმული, მოხერხებულად და ოსტატურად გადაკერილი.

საცხენე გომურის კედელიც მამამ თვითონ ააშენა.

თავის ნაკეთები საქმე ძალიან მოსწონდა. შორიახლოს დაჯდებოდა, უყურებდა ხოლმე სიამოვნებით თავის აგებულ ყორეს და ამვლელ-ჩამომვლელი მგზავრისა თუ მეზობლის დანახვაზე იქადნიდა — აბა, შეხედეთ, ასე უნდა ყორის აგება! აბა როგორი ბიჭი ვარო! მართლაც, მამაჩემის აგებულ ყორეს ვერავინ დაიწუნებდა.

შრომასა და საქმეში იყო მუდამ გართული. სულ ფუსფუსებდა, უსაქმოდ ვერასდროს ნახავდი. აკი თვითონაც ამბობდა ერთ ლექსში:

არც რომ უსაქმოდ არა ვარ,
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.

ჩვენს ეზოში რაც ხეხილები დგას, სულ მამაჩემის დარგულია.

კალველი ვაშლის ჯიში ფშავში პირველად მამაჩემმა გაავრცელა და ვაშლის ამ ჯიშს ფშაველები დღესაც „ლუკაის ვაშლს" ეძახიან. დღესაც ეკითხებიან ფშავლები ერთიმეორეს, „ლუკაის ვაშლისა" არ გიდგასო? ლუკაის ვაშლმა თეთრი ფერის, მოწითალო ნაყოფი იცის, თუ კარგად შეინახავ, აღდგომამდე მიატანს.

ჩარგალში, მუზეუმის შენობის წინ, ახლაც დგას ის ვაშლის ხე, რომელსაც მამაჩემი განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა. ეს ხე დაბალი ტანისაა, გაბორჯღლილი. როცა ნაყოფი ასხია, ჩამოშვებული ტოტებით დედამიწასა სწვდება, ადვილი დასაკრეფია. ამიტომაც მამა დიდ ზრუნვას იჩენდა ამ ხისადმი. საკუთარი ზურგით მოზიდა ქვა, სიპი და ამ ვაშლის ხეს ყორე შემოავლო, რომ საქონელს არ გაეკვნიტა ძირს დაშვებული ტოტის წვერები. შემოუთოხნიდა ირგვლივ და ძველ სასუქს აყრიდა...

მამას ცხენი და იარაღი ძალიან უყვარდა. თოფს ხშირად ატარებდა, ხმალსა და ხანჯალს ყოველთვის ირტყამდა. თოფის კარგი მსროლელი იყო. ჩვენი სახლის ახლო მიდამოებში ხშირად იმართებოდა თოფოსნობა. სროლის წინ დგამდნენ ნიშანს სასროლად. ნიშანი წარმოადგენდა პატარა ფიცარს, რომელზედაც ჭიქის ძირზე მოჭრილი ქაღალდი იყო მიწებებული. დადგამდ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ამ ნიშანს საკმაოდ შორ მანძილზე, და, ვინც ამ ქაღალდს მოარტყამდა, გამარჯვებულიც ის იყო. შეჯიბრებაში ბევრი მსროლელი მონაწილეობდა, განსაკუთრებით ჩვენი სოფლიდან, მაგრამ ყველას მაინც მამა სჯობდა სროლაში.

მამას ყოველთვის კარგი ცხენი ჰყოლია. ცუდ, ჯაგლაგ ცხენს შინ არ გააჩერებდა. მე „ნიკორი" მახსოვს — შავი, იორღა ცხენი; მხოლოდ, ჩემს ხსოვნაში უკვე ბებერი იყო, იმდენად ბებერი, რომ ზამთარში გომურის წინ წყლიდან მოსული დაეცა და ვეღარც ადგა. მამამ ბევრი უტრიალა, მაგრამ ვეღარაფერი უშველა. მამას ცრემლი მოერია იმ ცხენის სიკვდილზე. შეხვია ფარდაგში და ისე დამარხა.

— ვერ გავიმეტე ადრევე გასაყიდად, — იტყოდა ხოლმე მამაჩემი. — დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზეო!

ნიკორის შემდეგ კვიცი იყიდა, წითელი ფერისა იყო და სახელად „ცეცხლას" ეძახდა. „ცეცხლა" თვითონ გახედნა. შეჯდა შეუკაზმავ ცხენზე და არბენინა. დედაჩემმაც და სხვებმაც დაუშალეს: — ქვიანი ხურჯინი აჰკიდე და ისე მიაჩვიე უნაგირსაო, მაგრამ არ დაიშალა. სახე და ხელები სულ დაუსისხლიანდა. მაინც არ გაანება თავი, სანამ არ მოღალა.



ყვავილებიდან მამას ყველაზე მეტად ია უყვარდა. მოკრეფდა რამდენიმე ღერს და ყნოსავდა ხოლმე. ეს რომ ვიცოდი, მეც გავიდოდი ჩვენს გვერდით, მახლობელ ტყეში, მოვკრეფდი იებს, შევკრავდი კონად და მივართმევდი, როცა იგი ფანჯარასთან იჯდა და გატაცებით წერდა.

წერის დროს სარკმელი ხშირად ღია ჰქონდა. მეც გარედან გადავაწოდებდი ხოლმე იის კონას. მამა სიხარულით ჩამომართმევდა, მაშინვე წყლიან ჭიქაში ჩადებდა და დაიდგამდა ახლოს.

მე ვგრძნობდი, რომ დიდხანს ლაპარაკით მამას ხელი ეშლებოდა წერაში და უმალ მოვერიდებოდი ხოლმე ფანჯარას.

მამას ფანდური ყოველთვის გვერდით ედო. მაგრამ ხანგრძლივი დაკვრა და სიმღერა არ უყვარდა; ერთი ჩაჰკრავდა თითებს და უმალ გადადებდა გვერდით, ან წერას მიუბრუნდებოდა, ან ადგებოდა და ბოლთას სცემდა მცირე ხნით, ან კიდევ დაწვებოდა გულაღმა, ბალიშს ბალიშზე დაიდებდა, რომელიმე წიგნს მიიყრდნობდა მუხლებზე და კითხულობდა. ძალიან ბევრს კითხულობდა. მწოლიარე ავადმყოფიც რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოიხვევდა იმერულ ბაშლაყს და ისე იწვა. დაწოლილიც კი დროს არ ჰკარგავდა და კითხულობდა წიგნს.

მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა მამას. თუ გული რამეზე მოუვიდოდა, იყო მძვინვარე, როგორც ვეფხვი. ახლოს ვერ გაეკარებოდი, იყო სრულიად უშიშარი და მეტწილად მშვიდი, წყნარი, დარბაისელი, გულალალი, ბავშვივით მიამიტი, უეშმაკო და მეტისმეტად მგრძნობიარე. მაშინვე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალებზე, თუ ისეთ ამბავს ეტყოდა ვინმე.

თუ ვინმეს სიკვდილს გაიგონებდა, ჭირისუფალივით შეწუხდებოდა. სოფელს ჭირსა და ლხინში გვერდით ედგა და არ გამოირჩეოდა მათგან, თავს არავისზე მაღლა არ აყენებდა. პირიქით, შინაურებში თავმდაბალი იყო. აფასებდა — პატიოსნებას, სინდისს, უყვარდა ადამიანის სამსახური და ხალხის ზნე-ჩვეულების პატივისცემა. არ დააკლდებოდა არც ხატობას, არც ქორწილს, არც ხალარჯობას. ყველგან გაჩნდებოდა თავისი ხარჯით.

სადაც საკლავი, სასმელი, ქადა-პური, ჰედაშე, საწირავი ან ფული იყო საჭირო, ყოველთვის და ყველაფერში მონაწილეობას იღებდა და ირჯებოდა. თავის წილს არავის არ აკლებდა, არც ხატსა და არც ხალხსა.

თუ დასტურობა ევალებოდა (ლუდის დუღება სამარიამოდ), დასტურობდა. მასპინძლობდა სხვა ფშაველი გლეხებივით, რომ არავის არ დაეყვედრებინა გადაგვარება და დიდკაცობა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მცირე თქმაში ბევრს იტყოდა. ახასიათებდა მოკლე და აზრიანი მეტყველება, დარბაისლური კილო.

ადამიანის დაჩაგვრას ვერ იტანდა. სხვებთან ყოველთვის ამაზე მოსდიოდა უსიამოვნება. იტყოდა ხოლმე საჯაროდ: „კაცნო, ერთურთს ნუ სჩაგრავთ, ერთურთი უნდა გავიტანოთ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულო, არ გასტყდე!

(სიმღერა)

გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,
კლდეო, კლდედ იდეგ სალადა!
რა ვქნათ, რომ ჯანლი გვეხვევა,
მეცა გყევივარ ავადა.
ცდა გავუქარწყლოთ საწუთროს,
ნუ დავბერდებით შავადა.

სინათლე ნუმც გაგიქრება
და სხივი — მოძმეთ ნუგეში,
ანდერძსა მამა-პაპისას
ფრთხილად ვინახავ უბეში.
ძალნო ცისანო, გვიშველეთ,
საწყალთ ნუ ჩაგვყრი წუმპეში!

გულს ნუ მოშიკლავ, უფალო,
იმედს ნუ დამინიავებ,
დაზიანებულს სიცოცხლეს
მეტად ნუ დამიზიანებ;
მიშველე რამა, შენს მადლსა,
წამალს ნუ დამიგვიანებ!

არ მინდა, თავს ლეშად ვგრძნობდე,
უსულოს გდებულს, ტიალად;
სვავნი, ორბნი და კაჭკაჭნი
მათრევდნენ, მჭამდენ ზიარად;
ნუ გადამაქცევ, უფალო,
შხამისა სასმელ ფიალად!

კაცი ვარ, ვაჟკაცის წესზე
გავტყდე, ეს რაღა შნო არი?!
სიმტკიცე მიჭირს დიადი,
ეხლა ისეთი დრო არი.

გამშორდი, სულით სიდაბლევ,
გზაო, მაშინებ ველარა, —
იმ თავად, ჩემო სავალო,
შენზე ეკალი ეყარა.

# მხედართა ძველი სიმღერა

მიტომ გაგვზარდა დედამა,
მისთვის გვეტყოდა ნანასა —
ტანზე აბჯარი ავისხათ,
მუდამ ვლესავდეთ დანასა,
რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია
მეზობელს მეტიჩარასა.
არ ვაქელინოთ სამშობლო
მეტოქეს ათას-გვარასა.
გამოვეთხოვეთ ნათესავთ,
ცოლ-შვილს და თავის ყანასა;
სიკვდილს სიცოცხლე აღვუთქვით
და პირი — სისხლით ბანასა.
ცოცხალის თავით ვერ მივცემთ
მტერს თავის მიწის ლალასა.
გაჰზდის-ღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?!

სამშობლოსათვის სიცოცხლეს
ისე ვწვავთ, როგორც ჩალასა,
ვწყდებით გულ-დამშვიდებულნი
და თანაც ვმღერით ამასა:
„მშობელი მოკვდეს, რა უშავს,
შვილები ჰრჩება მამასა,
კიდევ ექნება ფრთეები
ამ წუთისოფლის ჯარასა.
კარგის მამის შვილს, წესია,
მტერიც უფრთხება კვალადა:
ხვალ და ზეგ ვერვინ გაჰბედავს
შინ შემოგვეჭრას ძალადა.
ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს
ვინაც არ აგდებს ჩალადა.
ცოცხლები არვის დავუთმობთ
მშობელი მიწის ლალასა.
სიკვდილს აღვუთქვით სიცოცხლე
და პირი — სისხლით ბანასა.
აბა თუ გაჰზდის მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა!“
სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.
არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალის თავითა;
უკან ვერ დაგვახეინებთ.
მისთვის ნაძლვნევის შხამითა.
მტრისაკე მივიზიდებით,
რომ გავწყდეთ, როგორც ლომები.
ჩვენს ზურგს ვერ ჰნახავს მეტოქე,
რომ გვნახო, მოგეწონები!
შვილებს საზღაპროდ ექნება
ჩვენი ბრძოლა და ომები!
არ მივცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანასა,
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის ლალასა.
ესევ ასწავლონ დედებმა,
შვილთ როს ეტყვიან ნანასა!
გაჰზდის-ღა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?
გაკაწრულ-გაფხაჭულები
დღესაც ისევ მჭირს ბევრგანა.
ვიცოდი ძალიან კარგად,
ეს უნდა გადამეყარა,
და დღესაც ისევ ძველებრივ
უნდა ვიხადო ბეგარა.
გულო, გაკლდევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა:
თუ აქამომდე გავძელით,
დღეს მტერი გაგვტეხს ველარა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. მსხლის ჯიში; 4. თბილისთან დაძმობილებული ევროპის ქალაქი; 9. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 10. მათემატიკაში ცვლადი სიდიდის აღმნიშვნელი სიმბოლო; 11. იტალიელი მწერალი; 14. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული აქლემების ოჯახის ცხოველი; 15. ფასი, ღირებულება, დაფასება; 17. მსახიობის მიერ განსახიერებული დრამატული სახე; 18. ცირკის ხუმარა; 19. სამხედრო ფორმის პალტო; 23. გ. ტაბიძის ლექსი; 24. ხის ჯიში; 25. გათლილი ძელი; 27. ბრიტანეთის კუნძულების ძველი სახელწოდება; 31. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი; 32. ჰაერის მოძრაობა ჰორიზონტალური მიმართულებით; 33. ორგანიზმის მგრძნობიარობის შეცვლა მიკრობების ან უცხო ცილების ზემოქმედების მიმართ; 34. კავებიანი სასრიალო საზიდარი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ფრანგი ქიმიკოსი; 2. ცხენის ჯოგი; 3. ბურთის თამაში ძველად; 5. განსჯის პროდუქტი; 6. მეფისა და ეტლის ერთდროული სვლა ჭადრაკში; 7. ძველბერძნული ქალაქი, ოლიმპიური თამაშების მოწყობის ადგილი; 8. ნემსის შორი-შორ ამოგებით ნაკერი; 12. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 13. საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე; 15. ფოთლის ან ნაყოფის ნაწილი, რომლითაც იგი მიმაგრებულია მცენარეზე; 16. თბილისის უბანი; 20. სახამებლის დამშლელი ფერმენტი; 21. ტროპიკული მცენარე; 22. შინ დამზადებული აბრეშუმის თხელი ქსოვილი; 26. ფრანგი კინომსახიობი; 28. ძვირფასი ქვა; 29. თეთრი ნიშანი ხარის, კამეჩის შუბლზე; 30. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

# ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ Ქ. ᲥᲣᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘᲫᲔᲛ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შარადები

გარიგების დროს წინასწარ
რომ გადიხადეს თანხა,
მას სიმდიდრეს და სიუხვეს
თუკი დაურთავ ახლა,
მაშინ შარადის პასუხად
საძრახის სახელს ნახავ.

●

ქათამზე მომცრო გარეულ
ფრინველის სახელს ველი —
მამალს ამშვენებს ლამაზი
ბოლო, ფრთები და ყელი.
მერე თუ მოსხლეტ
იმ მარცვალს,
რომელიც უზის თავში,
ცოტნეს მშობლიურ ქალაქად
გადაიქცევა მაშინ.

●

„იგავ-ზღაპარი" სხვაგვარად
ვით ითქმის, თუკი გახსოვს,
წინა ნაწილად იკმარებს
სამი კიდურა ასო.
ბოლოს დაურთე პირველი
მუსიკალური ბგერა, —
ხან გიშერივით კიაფობს,
ხანაც ქარვაა ფერად.

●

კოცონიდან ავარდა,
ფერი აჰყვა მზის,
მერე ბოლო ნაწილსაც
გამოიცნობ მყის:
ლუმელია პირლია
აგურის ან ქვის.
შეკრიბე და მიიღებ
ამ სასურველ ხილს.

## ლაბირინთი

### მოგზაურობის მოყვარულთათვის

ბავშვებო! ყურადღებით დააკვირდით ნახატს და გამოიცანით, რომელი გზა უნდა აირჩიონ ძეგლის მოყვარულებმა, რომ არცერთი ტაძარი მოუნახულებელი არ დარჩეთ.

## წინა ამოცანების გასაღები

### კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ვენეცია; 3. რუსთაველი; 7. იძუმო; 12. ცული; 14. კიოტო; 16. რუქა; 17. დიო; 18. ალო; 19. ინა; 20. ენა; 21. აირი; 22. ამაგი; 24. ინგა; 25. ატამი; 27. ომარიშარა; 29. ინდიანა.

**შვეულად:** 2. ეტა; 4. ხიმი; 5. ერბო; 6. ნაციონალი; 8. ურო; 9. გვატემალა; 10. ბაღდადი; 11. იარალის; 13. ისანი; 14. კომა; 15. ოდიში; 16. რეალი; 23. აია; 25. არია; 26. იარა; 28. ილი.

## გამოცანები

●

ბერქვეშ ბინადრობს მუდამ,
გარეთ არასდროს მიაქვთ,
ცხენი არ არის, მაგრამ
ცხენის სახელი ჰქვია.
ზედ ახტებიან, მერე
სწრაფად იწყებენ ტრიალს.

●

ნორჩი იყო — მივირთმევდი
თავის მწვანე კაბიანად,
გახმა, კაბა გავხადე და
ეზო დამინაგვიანა,
ვხარშე, ვხარშე,
ძლივს მოვხარშე.
რა ჰქვია და — რაქვიანა!

●

თუ გინდათ, გეტყვით ფიცით:
ის ერთდროულად, იცით? —
საყვირიცაა, თითიც,
გრძელიცაა და მსხვილიც,
კეტიცაა და ცხვირიც.
რა არის, თქვენი ფიქრით?
ხუმრობა იყოს იქით:

●

გონიერი ბავშვი
სწრაფად უნდა მიხვდეს:
სულ წინ მიდის,
უკან
არასოდეს იხევს.

ნ. მარიხია




ნახატი ეკა იოსელიანისა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ადგილის დედა

ვლადიმერ ბერიაშვილი

მოთხრობა

მხატვარი თემურ ფხიკიძე

ეს ამბავი იმ დროს მოხდა, როცა დიდი ვახტანგ გორგასალი ჯერ ისევ თოთო ბავშვი იყო, ბრჭყვიალა მძივების დანახვაზე თვალები უბრწყინდებოდა და საკიჭეებს პატარა ვარდისფერი მუშტით იქავებდა. სწორედ იმ დროს შეუსრულდა დილმელ გიოს თხუთმეტი წელი.

...ბილიკებმა მდინარესთან ჩაიყვანა. გიო ტყიდან გამოვიდა და გულაჩქროლებული შედგა.

გაღმა ფრიალო კლდე რამდენიმე ათეულ მეტრზე აზიდულიყო, ისე უცებ წყდებოდა მდინარის პირას, თითქოს დევს მისთვის უზარმაზარი ხანჯლით გვერდი ჩამოეთალოს. მდინარე თავისი მარცხენა ნაპირით პიტალოს ძირში ეხეთქებოდა, შხუილით უკუიქცეოდა, გზას იმრუდებდა, ახლა გვერდიდან ცდილობდა შეჯახებას, რათა გზაზე გადამდგარისათვის ძირი გამოეთხარა და თავისი კალაპოტი გაესწორებინა, მაგრამ, ძალადაკარგული, თავბრუდახვეულივით დაბორიალდებოდა, რამდენიმე წრეს შემოივლიდა, და, უკვე დაწყნარებული, დაუწერელ კანონს დამორჩილებული, აგრძელებდა ღვთისაგან ერთხელ დადგენილ გზას. ფრიალოს ჩაუყვებოდა, ჩაელამუნებოდა, თითქოს უხეშობისათვის პატიებას ითხოვსო, მოსახვევთან კიდევ ერთხელ შეათამაშებდა ტალღას — გამოსამშვიდობებლად ხელს დაუქნევდა და გაუვალ ტყეში იკარგებოდა.

ბუნების შვილმა მხოლოდ წამით შეავლო თვალი კლდისა და წყლის ათადან-ბაბადან მომდინარე ჭიდილს, გული კი სულ სხვა რამემ აუჩქროლა — მდინარის წყალს ქორბუდა დასწაფებოდა.

გიო სწრაფად ამოეფარა უზარმაზარ წიფელს. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, თითები უთრთოდა... მშვილდი გამართა, უფროსების დარიგება გაახსენდა, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა, მაგრამ მღელვარება ვერ დაიოკა. გაბრაზდა, წარმოიდგინა მამისა და ბიძების მკაცრი სახეები, თუკი სოფელში ხელცარიელი დაბრუნდებოდა. მათს უხმო საყვედურს კიდევ აიტანდა, მაგრამ დის დამცინავ ღიმილს სად დაემალებოდა?!

— გიო-ბიჭო, ლომი თუ გაგექცა, არ იდარდო, გენაცვალოს მთვარისა, ვეფხვის ტყავი წამომიღე, — ისე ჩასჩურჩულა უმცროსმა დამ, რომ ყველას გაეგონა, და გადაიტკრციალა. ბიჭს ხელი მისი კიკინებისაკენ გაექცა, მაგრამ თავი დროზე შეიკავა, „გომბიოსათვის თავის გაყადრება“ არ იკადრა.

გიომ ლარი მოზიდა და გაქვავდა. ქორბუდა, თითქოს მთელი წლის მწყურვალი ყოფილიყოს, წყლიდან თავს არ იღებდა. ბიჭმა ხრუპუნიც კი გაიგონა, ისე ახლოს იყო ცხოველი. გაუშვი ისარს ხელი და რქები მთვარისას დარჩებოდა, დამცინავი ღიმილი კი ძმის გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის სიცილად შეეცვლებოდა, მაგრამ მონადირის დაუწერელი კანონი დარწყულების დროს ნადირის მოკვლას კრძალავდა.

ცხოველმა ბოლო ყლუპი შესვა, თავი ასწია და გაღმა ფრიალოს მიაშტერდა. დრუნჩიდან მოწყვეტილი წინწკლები წყალზე წრეებს აჩენდა. ბიჭმა მშვილდი ისევ დაუშვა, სილამაზეს შეჩვეული მისი თვალიც კი მიიტაცა ბუნების ამ საოცრებამ.

„მთვარისა დამიჯერებს, რომ მოკვლა შემეძლო, გაუხარდება კიდეც ქორბუდას გადარჩენა“, — გადაწყვიტა ბიჭმა და გაუხარდა, თავისი „სისუსტის“ გასამართლებელი საბუთი რომ იპოვა.

უცებ კენჭების ჩხრიალის ხმა მოისმა. ქორბუდამ ყურები ცქვიტა. შემობრუნება სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო. ბიჭი გონს რომ მოეგო, ავაზა უკვე ირემს ზემოდან მოქცეოდა, კისერში კბილები ჩაევლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანგებით ფერდებს უფატრავდა. თითქმის დაუმიზნებლად სტყორცნა, ისარმა გაიზუზუნა და მტაცებელს ნეკნებშუა ჩაესო. ავაზა რიყეზე დავარდა, დაბზრიალდა, ისრის ბოლოს კბილებით მისწვდა და ჩხირივით გადატეხა. ქორბუდამ დრო იხელთა და ტყეში შერგო თავი. მეორე ისარმა ნადირს ბოლო მოუღო. გიომ ორივე ხელი შემართა და გამარჯვების ყიჟინა დასცა. მერე საფარიდან გამოვიდა, სამუდამოდ გაყუჩებულ მხეცს ისრები ამოაძრო, ნანადირევი ტყემდე მიათრია, წნელი მოჭრა, დაგრიხა, უკანა ფეხებში ჩააბა და ხის ტოტზე ჩამოჰკიდა. ამას რომ მორჩა, ირმის კვალს მიუბრუნდა.

უკვე შეეძლო სოფელში დაბრუნება, მამისა და ბიძების ღიმილჩამდგარი თვალებიც წარმოიდგინა, მაგრამ მონადირის კანონი დაჭრილი ცხოველის მიტოვებას კრძალავდა.

გიომ მშვილდი ზურგზე გადაიგდო და კვალს გაჰყვა. შორს წასვლა არ დასჭირვებია, მალე განწირული ხროტინი მოესმა, მშვილდი მოიმარჯვა, ბუჩქები გადასწია და... უკვე მერამდენედ დაუშვა იარაღი. ტყის მშვენება ხშირ ტოტებში რქით გაბმულიყო, ჩასისხლიანებულ თვალებს ატრიალებდა, ხროტინებდა, სისუსტისაგან ფეხები ეკეცებოდა, ფართხალებდა, მაგრამ რქებს ვერ ითავისუფლებდა. ადამიანის დანახვაზე დაიხავლა, მძლავრად გაიბრძოლა, ფლოქვებიდან ასხლეტილი მიწა შრიალით ეყრებოდა სქლად დაფენილ გამხმარ ფოთლებს.

ბიჭი ხეზე ავიდა, ქვედა ტოტზე გაწვა და ქორბუდას გათავისუფლება დაიწყო. ცხოველმა თავზემოთ რომ ადამიანი იგრძნო, უფრო გაგიჟდა, ბიჭის ნესტოებს ოფლის მძაფრი სუნი მისწვდა. ტოტი ქანაობდა, გიოს რამდენჯერმე ტოტებსა და რქებს შორის მოუყვა თითები, ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და — მონადირე ნადირის ფლოქვების წერა გახდებოდა. ქორბუდამ ერთიც გაიბრძოლა და, გათავისუფლებულმა, უკანმოუხედავად მოკურცხლა. ბიჭი ხიდან ჩამოვიდა, კაპარჭი ძლივს წამოკრიფა და მოხტა, დაბეგვილი ხელებით მშვილ-ისევ ირმის კვალს გაჰყვა.

...რაც ამ ტყეში შემოვიდა, ეს სუნიც თანა სდევდა. სუნი უსიამო და თითქოს ნაცნობი იყო — ლაყე კვერცხისას წააგავდა. რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო მძაფრად უღიტინებდა ნესტოებში.

ირმის კვალმა ხევში ჩაიყვანა. მცენარეულობა შეთხელდა და გიომ შორიდანვე შეამჩნია უცნაური სურათი: ხევში გუბე იდგა, წყალს ორთქლი ასდიოდა, ზედაპირზე ბუშტები სკდებოდა. ქორბუდა ამ გუბეში ჩაწოლილიყო. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ცხოველს მის დანახვაზე გაქცევა კი არა, განძრევაც არ უცდია, მხოლოდ მზერა მოარიდა. ის საზიზღარი სუნი ამ წყალს ასდიოდა. ბიჭი დაიჭყანა, ცხვირი აიბზუა, მაგრამ დაინტერესდა, თუ რით მიიზიდა ცხოველი ამ წყალმა. ფრთხილად, ნადირი რომ არ დაეფრთხო, მიუახლოვდა და გუბეში ხელი ჩაჰყო. წყალი სასიამოვნოდ ცხელი გამოდგა. ცხოველს წყლიდან მხოლოდ თავი უჩან-



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსი, რომელიც ბებია-ბაბუებს უყვარდათ






პატარა ჩიტი ჩიოდა, რათა ვარ დამწყვდეულიო;
გალიაში ვარ ტყვედ ქმნილი, მწყდება, მიკვდება
გულიო.
ჩემს ტოლ-ამხანაგ ჩიტუნებს მოსვლიათ
გაზაფხულიო;
მათთვის გაშლილა ბუნება, ფერად-ფერადად მკულიო.
დაჰფრენენ, დასჭიკჭიკობენ, შვება ეძლევათ სრულიო;
და მე კი ყველა ამაებს ვარ ობლად მოკლებულიო.
რად მინდა ტუსაღს ალერსი, ეს მოყვრობაა
მტრულიო;
და ვინც ამ დღეში ჩამაგდო, ღვთისაგან იყოს
კრულიო.

აკაკი

და, ცალი თვალით მდევარს უთვალთვალებდა და ნერვიულად ფრუტუნებდა. ბიჭს დიდხანს აღარ უფიქრია, ტანთ გაიძრო, წყალში შევიდა და კისრამდე ჩაყურყუმელავდა. ქორბუდა ამას კი აღარ ელოდა. წამოიწია, მაგრამ დასუსტებულმა კუნთებმა ვეღარ დაიკავეს და უკან ჩადგაფუნდა, ბიჭს ტალღა თავზე გადაევლო. გიომ გულიანად გადაიხარხარა, რასაც ცხოველის შეშფოთებული ფრუტუნი მოჰყვა, ბიჭმა თავ-პირზე ხელი ჩამოისვა და წყალი ჩამოიწურა. ხეშეში თმები დარბილებოდა, მთელ სხეულზე „ჭიანჭველები“ იგრძნო, ნეტარებით გაიზმორა, თავქვეშ სიპი შეიცურა, მოხერხებულად მოეწყო და გაყუჩდა.

თვალი გაახილა და გაოცებულმა დაინახა, რომ მზე გადაწვერილიყო. წყალი ისევ ბუყბუყებდა, ქორბუდა ისევ ფრუტუნებდა... ბიჭმა ხელებზე დაიხედა და უფრო მეტად გაოცდა — კანი ოთხმოცი წლის მოხუცივით მოჭმუჭნოდა და, რაც მთავარია, ჭრილობებს პირი შეეკრა, თითქმის აღარც ეტყობოდა, „აი, თურმე, რა ყოფილა. ჭრილობებს იშუშებს“, — გაიფიქრა გიომ და ისევ გაყუჩდა, რათა ირემი არ დაეფრთხო.

„ავაზა დაღამებამდე უნდა ავიტანო სოფელში, — გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ ირემს გადახედა და არ განძრეულა. — მთვარისას ირმის გადარჩენა გაუხარდება. აქაც მოვიყვან. თბილ გუბეს ვუჩვენებ“

ქორბუდა და გიო გუბეში ნეტარებდნენ, გუბე კი... სულ სხვას ელოდა.



ცხელი გოგირდიანი წყალი ბუყბუყებდა, ბუტბუტებდა, ჩურჩულებდა. ფშვინავდა, ოხრავდა, ჰაერში ცხელ ოხშივარს ისროოდა და ელოდა...

ადგილის დედა ხოხობს ელოდა, ვახტანგს ელოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ....არყოფნის მზერა ვერ მოვიცილე“



(თამაზ ბაძაღუას მონატრება)

თამაზ ბაძაღუა... ბევრ თქვენგანს, ალბათ, არც კი სმენია ამ ახალგაზრდა კაცის სახელი, ასე უცნაურად რომ ააფორიაქა ლიტერატურული სამყარო ჯერ თავისი უფაქიზესი პოეტური სიტყვითა და შემდეგ — უჩვეულოდ ტრაგიკული აღსასრულით. მაგრამ დღეს ეს არ არის მთავარი, რადგან დრო აუცილებლად მოიტანს ამ სახელის ცოდნასაც. ჩვენ მაინც გვინდა, წავეხმაროთ დროს და გითხრათ, რომ ცხოვრობდა პოეტი, რომელიც ქარით გვიყურებდა და ყველაზე ჩუმი ვარსკვლავით გვისმენდა, რომელიც ხეებით გვესაუბრებოდა და ნისლით ცდილობდა გალიმებას. იგი ფრინველი იყო, „საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი“, და უიმედოდ ებღაუჭებოდა იმ ძველ ფურცლებში ჩაყვითლებულ სიტყვებს „სიმშვიდე, სიხარული, თანაგრძნობა, აღფრთოვანება“...

ლომის ნადგომზე ძვლები რჩება, კაცისაზე — სახელიო... თამაზ ბაძაღუას ამ ქვეყნად სახელის მეტი მართლაც არაფერი დარჩენია. რადგან ვერ დაჯაბნა სიცოცხლით თავისი საყვარელი დედ-მამა პატარა თუთამ, რომ მათ სახელობაზე გაზრდილიყო და დაქალებულიყო, რომ თავისი გულის პასუხი ეპოვნა მამის ლექსების წიგნის ფურცვლასა და კითხვაში. „მე ვარ მგელი, რომელიც კბილებით იცავს თავის ბუნაგს, მისთვის უცხოა პატიება, დათმობა და გულაჩუყება... პირველი ტყვია ჩემს გულში გაიღიმებს, პირველი ზამთარი ჩემს ბუნაგში დაიბადება, პირველი მთვარე ჩემს სიზმრებს დააფრთხობს... რადგან მე ვარ მგელი და ჩრდილივით ვუვლი გარშემო შენი ძილის სურნელს...“ („თუთას“).

იმ საბედისწერო დღემდე სულ ცოტა ხნით ადრე ჩასულა მარტვილში. შეუვლია მუზეუმში, თავის საყვარელ გივი მასწავლებელთან. ცოლ-შვილიც მიუყვანია. ორიოდ ჭიქა ავწიოთო... უცნაურად აღგზნებულს მოუღიავებია მუზეუმის ფონდის მთელი საცავები, აღფრთოვანებული მიმოდიოდა თურმე, იხრებოდა დაბალ კარადებთან, იყნოსავდა სიძველეთა სურნელს და თან ჟინიანად აგულიანებდა პატარა თუთასაც: შეისუნთქე ეს ჰაერი, ღრმად შეისუნთქე, ამ კარადებში ჩემი მასწავლებლის სულიაო... ასეთი ტკბილ-მწარე სახსოვარი დატოვა... ის დღეა და ის დღე, იმ საცავებისკენ უტკივილოდ ვერ გაუხედავს ბატონ გივი ელიავას, გულზე მაწევს, შვილო, გულზე, ეგ კუბოო... თამაზი აქ ყველას გულს აკლია — მარტვილის მხარეთმცოდნეობის ამ ხანდაზმულ მუზეუმს მისი მოკლეშარვლიანი ბიჭობაცა და პირველი სერიოზული პოეტური სტრიქონებიც განსხვავებულად ახსოვს.

„ვერ მოვიტყუე თავი ბოლომდე, ვერც სიყვარულით, ვერც იმედებით, სად არის ქალი, რომ გამყოლოდეს იმ გზაზე, სადაც ველარ მივედი. წვიმამ და ქარმა დამსუსხა ერთად და საკუთარი წამართვა ლანდიც. მწყუროდა ღვინო და ვსვამდი ქექაფს, მწყუროდა ზეცა და მიწას ვჭამდი. თან ამ ჭრილობებს სულს ვუბერავდი, ხან ღიმილით და ხანაც სიცილით, ვერ მოვიტყუე თავი ვერაფრით, არყოფნის მზერა ვერ მოვიცილე“.

პატარა ოდა ფერდობს გასცქერის. იქ, ფერდობზე ტყისპირს აღევნებულ გზაწვრილს ერთი ხელისდადება საყანეები ჰკიდია. „თეთრი სინათლე დამასხეს დოქით...“ ბინდდება. და „სანამ ჩიტი შობს დილას“, ღამე ალბათ ამ ფერდობზე გადაიგრილებს.

ოდაში ერთი ოთახია. არა, ოდაში სხვა ოთახებიცაა, მაგრამ ის ერთადერთი ოთახია ხავსსმოჭიდებულის ნუგეშიცა და იმედიც, რადგან აქ ყველაფერს სამი მშვენიერი სიცოცხლის კვალი ატყვია. კედლებზე სურათებია — თამაზის, ნატოსი და პატარა თუთასი, დივანზე აწყვია ნივთები — თამაზის, ნატოსი და პატარა თუთასი, კედლის საკიდრიდან, ეს უკვე მეოთხე წელია, აღარავინ ხსნის პალტოებს... ეს მაგნიტოფონი ილია ერქვანიამ აჩუქა... გაეხუმრებოდა ხოლმე: ბიჭო, ეს რა ჭირს გადამკიდე, გაფუჭებულია თავისი დღე და მოსწრებაო. აქვეა თამაზის დაუმთავრებელი შემოქმედების პატარა სახსოვრები — მისი წიგნები, თეატრალური აფიშები...

იყო კი ზუსტად ისე, როგორც ზღაპარშია... დიახ, იყო და არა იყო რა... მარტვილის ერთ ულამაზეს მთიან სოფელ ნახუნაოში ცხოვრობდა ბედნიერი ოჯახი. სამი შვილი ჰყავდათ — ორი ლამაზი გოგო და ერთიც, ცინცხალი გონების, ცნობისმოყვარე ბიჭი. ბიჭი ნაბოლარა იყო, თანაც საოცრად მოსიყვარულე და ნიჭიერი, ამიტომ ოჯახში გამორჩეულად უყვარდათ. ფრიადს ფრიადზე იღებდა თურმე პირველიდან მეათე კლასამდე. იმთავითვე მიზანსწრაფული ყოფილა, გულზე რასაც ამოიჭრიდა, აუცილებლად შეისრულებდა. პირველი ყოფილა ყველაფერში — მათემატიკაში, ისტორიაში, ლიტერატურაში, ფეხბურთში, შაშში, ჭადრაკში. ფეხდაფეხ დაუვლია იქაური წარმართული და ქრისტიანული ძეგლები, რიტუალური კერები, ხალხურ გადმოცემებსა და ტოპონიმებს აგროვებდა და სწავლობდა თურმე. ასე მოხვედრილა პირველად მარტვილის სარაიონთაშორისო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორთან, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატ გივი ელიავასთანაც, თავისი პირველი მოწაფური გამოკვლევით ხელდამშვენებული, შოთა მესხიასა და სერგი მაკალათიას შრომებში ნაკირკიტალი.

სკოლაში შესვლამდე უსწავლია წერა-კითხვა. სულ ამის დაშლაში ყოფილა ძაბა დეიდა, მათი სისხლი და ხორცი, იქაური სკოლის მასწავლებელი — კითხვას არაფერი უჭირს, თუ უნდა ისწავლოს, წერა კი არ დაანებოთ, ხელი გაუფუჭდებაო..., მაგრამ ვინ უგდებდა ყურს



ან ძაბა დეიდას და ან სხვა უფროსებს. მიიკუნჭებოდა სადმე კუთხეში, გაზეთზე თეთრ ფურცელს დაიდებდა და იხატავდა ნება-ნება ასოებს. პირველი ლექსი მეორეკლასელს დაუწერია. ის დღე ყოფილა და ის დღე, საზრუნავი გასჩენიათ უფროს დებს — სულ ფურცელ-ფურცელ აქვთ შემონახული ნაბოლარა ძმის ყველა იმდროინდელი ლექსი და ჩანაწერი...

„ღამე შეაშრათ კრამიტებს, დილამ გაახილა თვალი, დასკუპდა მზე — ზეცის ხალი და მაღალ კვარცხლბეკზე იდგა მხატვარი. მოწიწებით დაჰყურებდა მოლბერტს — დედამიწას, მწვანე ფუნჯით ხატავდა და კბილებივით აძრობდა სითეთრეს“... „მე გასაჭრელი გილიკი მელის, ჩემი გზაწვრილი, ჩემი სამსალა, მესურნელება თავთუხი ხმელი და მიმართავენ მთები მასკარადს. წყალგალმა თეთრი კარავი მიცდის, ციმციმებს წნორის სველი თვალები და ოცნებების პატარა კვიცი დაჭედილია რწმენის ნალებით“.

„20 აპრილი, 1970 წელი. მოეწყო კლასის ჩემპიონობა შაშსა და ჭადრაკში. პირველად ჭადრაკით დაიწყო. სამი პარტიიდან სამივე მოვიგე და პირველ ადგილზე გავედი. შაშში შვიდი შეხვედრა მაქვს ჩასატარებელი: ხუთი მოვიგე, ერთი წავაგე, ერთიც ყაიმით დავამთავრე. წავაგე ვ. სიგუასთან... იგი კარგი სტილის მოშაშეა, მაგრამ მაინც მეორეჯერ მაინც ვძლიე... შვიდი შესაძლებლობიდან 5,5 ქულა — ბრწყინვალე შედეგია. დავიკავე შაშსა და ჭადრაკში პირველი ადგილი“.

„19 სექტემბერი, 1970 წელი. ვარჯიში დავიწყე ფეხბურთში. ბევრს ვვარჯიშობ ცურვაში, სირბილში, ტანვარჯიშში, ხტომაში...

თანამედროვე ფეხბურთელს მოეთხოვება... დახვეწილი ტექნიკა, მარათონელის გამძლეობა და ავაზას სისხარტე, სისწრაფე. იგი მთელი თამაშის მანძილზე, და წაგების შემთხვევაშიც, გამარჯვებისთვის უნდა იღწვოდეს. აი, რა ჩვევების გამომუშავებაში ვმეცადინეობ“.

ვფურცლავთ მისი ბავშვობის დღიურს. აქ იგი სულ 10-11 წლისაა. მაგრამ... უკვე ჩამოყალიბებული ნებისყოფა, ძლიერი ხასიათი, საკუთარ შესაძლებლობებზე მუშაობის მოთხოვნილება, მობილიზებულობა. პატარა ბიჭმა უკვე იცის, რა უნდა, რას ესწრაფვის, როგორ უნდა გაიწვრთნას ხასიათი და ნიჭი, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო, მოაზროვნე კაცი დადგეს. ერთადერთ „ცდუნებად“ ოცნება აქვს, მასზე უარს ვერასდროს ამბობს: „ბევრი არ მინდა ამ ქვეყანაზე, მქონდეს პატარა ქოხი, მქონდეს კალამი გაუხუნარი, ლამაზ ფიქრების ნოხი. მქონდეს პატარა ლექსების წიგნი, ატაროს ერთმა გოგომ უბეში, ვცხოვრობდე ზრდით, აზრით და ფიქრით და... მისთა თვალთა ცეცხლის ნუგეშით“.

მაგრამ აი, გავიდა წლები და ბავშვობის ეს ოცნება სიჭაბუკემ სულ სხვა განწყობილებით გაიხსენა: „სჯობდა სულაც ლოდი მექონდა, დამედგა სადმე პატარა ქოხი, გამომეყვანა ქოხამდე წყარო, ამომეკვეთა წყაროზე მთვარე...“

1975 წელი. გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე დაბეჭდილი საჭადრაკო ამოცანების ამოხსნისათვის დაჯილდოებულ პატარა მარტვილელ მოჭადრაკეს საქართველოს ტელევიზიის „საჭადრაკო კლუბში“ იწვევენ, სახელოვან ნონა გაფრინდაშვილთან ერთდროულ საჭადრაკო სეანსში მონაწილეობის მისაღებად. იმ დღეს მხოლოდ ორმა მოზარდმა შესძლო ნონასთან ყაიმზე შეთანხმება. ბიჭი ლამაზი ჭადრაკით ხელდამშვენებული ბრუნდება მშობლიურ ნახუნაოში. ჭადრაკზე წარწერა პრიალებს — ნონას ავტოგრაფი...

მერე იყო ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა გივიმ დაავლო ხელი მისი ლექსების რვეულს და თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა კეთილ სულს — ფაცია პაიჭაძეს გადააბარა. ამ პერიოდიდან თამაზ ბაძაღუასთვის ნამდვილი პატარა შემოქმედებითი დღესასწაულები დაიწყო.

რომელიღაც რვეულის იისფერ გარეკანს შემოუნახავს ბავშვობისდროინდელი პოეტური ფსევდონიმი — თამაზ ისკიელი...

„ნახუნაოში მოედინება მდინარე ისკია, რომლის სახელი დაკავშირებული უნდა იყოს წარმართულ სარიტუალო კერა ისკიოდასთან. საინტერესოა, რომ ისკია ეწოდება სამხრეთ იტალიის ერთ-ერთ ვულკანურ კუნძულსაც“.

მარტვილი, ნახუნაო, წინაკვერკვე, ნათურქუ ჯიხა, ნაინჭუ, ჭითაწყარი, ჭაბურთა, ნაბეხოუ, ნაჩორგუუ, ჩახვამამული, კარკაიაშ ფერდი, ხაინდური, ჩანთარიაშ გა, ჭკადუ რობუ, არჯანია, ნოღა, წკანტილალი, ჭუხეთი, არგვანი, ბაცოური... — ასეთი იყო მისი ბავშვობის გარემო. ამ ტოპონიმებმა გააღვიძეს მასში მშობლიური კუთხის ისტორიისა და ენის სიყვარული, აზიარეს სიტყვათა ბუნებრივ, ფონეტიკურ მხატვრულობას... აქედან იღებს სათავეს ის დახვეწილი პოეტური სახიერებაც, რომლითაც ასე გამოირჩევა თამაზ ბაძაღუას პოეზია. აქედან მოდის პოეტური აზრის ის შინაგანი სიფაქიზეცა და დატვირთულობაც, რომლებიც მის ლექსს სხვა ათასში ამოგაცნობინებს.

ჯერ კიდევ ბავშვობაში უცდია ლექსთ თარგმნის რთულ ხელოვნებასთან შეჭიდება, მეგრულად უთარგმნია „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფი. სულ რამდენიმე წელიწადში შეუსწავლია იტალიური ენა. ჭეშმარიტი პოეტური სიტყვის თაყვანისმცემლები კარგად იცნობენ თამაზ ბაძაღუას მიერ იტალიური და ფრანგული ენებიდან თარგმნილ მაღალი პოეზიის ნიმუშებს.

ჩქარობდა. დრამატურგიაშიც მოსინჯა კალამი. წარმატებული გამოდგა ეს ცდა. თბილისისა და რუსთავის თეატრებში თავისი პიესების დადგმის ბედნიერებაც განიცადა 28 წლის დრამატურგმა.

საკუთარ ლექსს ვერ წააკითხებდიო... თუ თავს ძალიან მოაბეზრებდი და განწყობილებაც ხელს შეუწყობდა, გალაკტიონის „რომელი საათიას“ წაიკითხავდა. დაწერდა ლექსს და მაშინვე მეუღლეს დააჭაშნიკებინებდა თურმე. ისიც, რაც არ უნდა საშური საქმე ჰქონოდა კალთაზე გამობმული, მიატოვებდა და მაგიდასთან ჩამოუჯდებოდა. ასეთებად დაამახსოვრდნენ ახლობლებს — ცოლ-ქმრული შინაგანი ერთიანობის ცოცხალ სურათად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტის სიკვდილის შემდეგ მისი ბევრი ლექსი გაიუღერებს, როგორც ბედის წინასწარგანჭვრეტა. აღსასრულამდე რამდენიმე თვით ადრე დეიდაშვილი დაღუპვია ავტოკატასტროფაში. აუწერლად განიცადა თურმე. დაწერა ლექსი. ის ლექსი შინაურებისთვის ახლა განსაკუთრებით სიმბოლურად აღიქმება — ორმა მოყვარულმა ძმამ უნებურად ერთმანეთის საშინელი აღსასრული გაიმეორა.

„მე დამეკარგა ჩემი სიკვდილი, ოქროვანი და დიდებული, ნაკვეზი ჩემი სიხარულებით, ჩიტებით და აყვავებულ განთიადებით, რომელსაც ვზრდიდი, დაბადებიდან ჩემი სუნთქვით ვაძლევდი ძალას და ის ცოცხლობდა ჩემში ამაყი, ჩემი ერთგული და ერთადერთი, და როგორც მამას, მახარებდა მისი სიმშვიდე და სიდიადე, და როგორც შვილი, ვეხუტებოდი მის ძლიერ მკერდს, ვით მარმარილოს. მე დამეკარგა ჩემი სიკვდილი — ჩემი შვილი და ჩემი მამაც. სხვა რაღაც ლორწო ჩამეხვია, უგემურად ამისვა ენა და აღელვებულ ქარის ღამეში ბრძენმა ჰიპნოსმაც გაიზიარა მწარე ნაღველი... რომ მომიკვდა ჩემი სიკვდილი“.

ალბათ, ჩვენი კრიტიკა ჯეროვნად შეისწავლის თამაზ ბაძაღუას ლიტერატურულ მემკვიდრეობას. პოეტის აღიარება უახლოესი მომავლის საქმეა. მაგრამ... ვაგლახ, რომ წერტილდასმული სიცოცხლეა ბუნების საბოლოო განაჩენი. მიდის კაცი ამ სოფლიდან, უსასრულობაში იკარგება. ჩვენ კი გვინდა გვჯეროდეს, და ვიჯერებთ კიდეც, რომ იგი ოდესმე კვლავ მოგვინახულებს, წვიმად, თოვლად, ფოთლებად ან სიმღერებად დაგვიბრუნდება. ეს რწმენაა, ჩვენივ თავში რომ გვაბრუნებს და გვაძლიერებს.

ნინო ხარაზიშვილი

თამაზ ბაძაღუას მეგობრებმა ითავეს და პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოსცეს მისი ლექსების კრებული. ჩვენს მკითხველებს რამდენიმე ნაწარმოებს ვთავაზობთ ამ კრებულიდან.

●

მეც მომიძებნეს მკერდი ქორებმა,
ბასრი ჭანგებით გულზე მასხედან,
რა უშფოთველი ჩანდა ცხოვრება,
როგორც ღრუბლიდან
სხივის გასხლეტა,
კვდომის სურნელმა ისე მომიცვა,
თვალის დახუჭვაც ვერ მოვასწარი,
გაბრწყინდა ზეცა, ვით აღდგომისას,
და წამიჭირეს ყელზე ბაწარი.
ჩემი ნიშანი მაინც მოვიდა,
ბოლოს მოვიდა, ბოლოს აენთო
და ვარსკვლავების სიმარტოვიდან
არ ანათებდა მიწა საერთოდ.
ამ სიხარულსაც ვეღარ აიტანს
გული, რომელიც ჩემში დაბერდა,
არ გელოდები აღარსაიდან
და მაინც იქ ვარ, იმ დარაბებთან.
მე — ვარსკვლავების წყნარი მოძღვარი,
მზესაც ვუკრძალავ შენსკენ ბორიალს,
შენ იმ თიხიდან ხარ გამომწვარი,
რომელსაც ბიწი არ ჩაჰყოლია.
გზა გადაქანდა სადღაც გვერდულად,
ძლივს მივუყენე ნავი სანავეს,
შენ იმ ვარდივით ხარ უბედური,
რომელიც ჭკნება გაშლისთანავე.
უბედურებაც დაბერდა ჩემში,
ბედნიერებაც დაბერდა უცებ,
მაგრამ მარადი ქარწვიმაც ვერ შლის
ცეცხლის სიტყვებში
დამწყვდეულ ფურცლებს.
ორივეს თურმე ერთი ფესვი აქვს,
ორივე ტკბება ერთი ნაყოფით,
წმინდა წიგნებში ფხიზლობს მესია,
ჩვენს დასახსნელად ძალა არ ყოფნის.
ნუთუ გავუძლებთ მწარე მოლოდინს,
სანამ გაწვეთავს სინათლის ღვენთი,
ბედნიერებაც ცოტაა ჩვენთვის,
რომ ბედნიერი ვიყოთ ბოლომდის.



●

მე ჩვეულებრივ დღეებით ვიქრობ
უჩვეულო და მტანჯველ იარებს,
ჭრილობასავით მოწვეთავს ფიქრი
აყვავებული და მსხმოიარე.

ჩვეულებრივად თენდება თითქოს —
მე უჩვეულო სიზმრებით მძინავს
და დაკარგული სხეულის სითბო
სველი თოვლივით აწვება მინას.

ღმერთო, გრძნეული შუქი მომფინე
ბასრი ვნებების, ტანჯვის, წვალების,
და როგორც ქალი უარყოფილი,
დღე უბრუნდება ცარიელ საწოლს.

ჩვეულებრივად ღამდება, იქნებ
მხეცივით ლოკავ გადაჭრილ მაჯას,
და ჩვეულებრივ დღეებზე ფიქრით
მე უჩვეულო სურვილი მტანჯავს.

●

ჩვილივით სათნო და უდარდელი,
ჩვილივით სუსტი დღეს მერამდენედ,
გამოაშუქებს ლანდი ნათელი,
ლანდი, რომელიც ვეღარ განვდევნე.

და უცნაური სურვილის შიშით
ანთია ბნელში ცხელი ფაფარი —
ლანდი, რომელიც იზრდება ძილში
და ხელებს მტკივან თვალზე მაფარებს.

მე ჩვეულებრივ ვინატრებ წვიმას,
მე ჩვეულებრივ დავხუჭავ თვალებს,
როგორც წყვდიადში დაჭრილის გრინი
და წითელ სისხლში მოსვრილი მთვარე

წაიღებს უცნობ სევდას და ფერებს,
და გაშმაგებულ ვნებად ქცეული,
უერთმანეთოდ ვიტირებთ მერე,
ლანდი და ლანდის ცივი სხეული.

# სამნი ძმანი ფურულები

ვ. გივირციხელი

მხატვარი დავით მეტონიძე




კი გადავრჩით, მარა მგონი ქარიშხალი იწყება!
ცურვა მაინც ვიცოდეთ!
დავტკუღიყავით სახლში!
დავიღუპეთ! ანძა ტყდება!!!
მიწაა, მიწა!!!
აგენი ვინ არიან?!
ვაი, დედაა!!
ჩემდათავად, აწი წყალში შემსვლელის...
ა, ესენი იყვნენ!
საღ წახვალთ, თქვენი....
დავიღუპეთ, გვეწევიან!
არიქა!
აგა, რა ეგონათ მაგათ!!!
აი, დარტყმა!
უი!!!
ვაი, თავი!!!
დაილოცა ისევ თოხის მომგონი!...

# რატომ? საიდან? რისთვის?



## კითხვა — გულუბრყვილო, პასუხი — სერიოზული

### რატომ ხტუნავენ ანტილოპები?

ანტილოპების ბევრი სახეობის წარმომადგენლები საკმაოდ მაღლა ხტებიან. ამას, უმეტესად, თამაშისას აკეთებენ, მაგრამ ზოგჯერ მაღალი ნახტომი მტრის მოახლოების თავისებური გამაფრთხილებელი ნიშანია დანარჩენებისათვის.

ანტილოპები სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობენ. მტაცებლის დანახვისას ისინი ზურგში იღუნებიან, ოთხივე ფეხს დაძაბავენ და მოულოდნელ კამარას შეჰკრავენ ხოლმე. პირველს მეორე ანტილოპა აჰყვება და სულ მალე მთელი ჯოგი ხტუნვა-ხტუნვით გაეცლება მტერს.

აფრიკული ანტილოპის ერთ-ერთი სახეობა — ანტილოპა ინპალა თვით ანტილოპებშიც კი გამოირჩევა საოცარი ნახტომით: მას შეუძლია 3,5 მეტრის სიმაღლეზე „აფრინდეს", თანაც მტაცებლისაგან შეშინებული ინპალები სწორხაზოვნად კი არა, ზიგზაგებით დახტიან და მათი ხელში მოგდება ძალზე ძნელია ხოლმე.




### რატომ აქვთ ფრინველებს სხვადასხვანაირი ნისკარტი?

ფრინველები მწერებით, მარცვლეულით, თევზებით, მცირე ზომის ორგანიზმებით იკვებებიან. ამა თუ იმ ფრინველის საკვების ამოცნობა მისი ნისკარტის ფორმით შეიძლება. არწივსა და შევარდენს მოკაუჭებული, ხორცის ადვილად საჯიჯგნად მოხერხებული ნისკარტები აქვთ, რადგან ისინი ხორცით იკვებებიან. იმ ფრინველებს, რომლებიც მარცვლეულით იკვებებიან, მაგალითად, ბეღურასა და მტრედს, პატარა, მომრგვალებული ნისკარტი აქვთ. ფრინველებს, რომლებიც თევზით იკვებებიან, დაშნასავით გრძელი, ღონიერი ნისკარტი აქვთ, რათა წყალში თევზის დაჭერა შესძლონ. იხვს კი ბრტყელი, მოკლე ნისკარტი აქვს. ასეთი ნისკარტით იხვი გარშემო მცურავ მცირე ორგანიზმებს ადვილად იჭერს.

### რითაა გველი საშიში?

რამდენიმე სახეობის გველი ადამიანისათვის ძალზე საშიშია. ისინი შხამიანები არიან.

შხამიანი გველი ორგვარია: პირველს ღარიანი კბილები აქვს, რომლებიც ხახის უკანა ნაწილშია მოთავსებული. ასეთი გველისა ადამიანს არ უნდა ეშინოდეს, იგი მას ზიანს ვერ მიაყენებს.



განსაკუთრებით საშიშია ღრუ კბილებიანი გველი. კბილები მას ხახის წინა ნაწილში აქვს მოთავსებული. ასეთია, მაგალითად, კობრა. ამგვარი გველის ნაკბენი სასიკვდილოა. მიუხედავად ამისა, გველი, ჩვეულებრივ, ადამიანს თავს არ ესხმის, ვიდრე მას არ გააღიზიანებ. ზოგიერთი სახეობის გველი კბენის წინ შეტევის პოზას ღებულობს, როგორც, მაგალითად, ჩხრიალა გველი. ზოგი სახეობის გველი, მაგალითად, სამეფო კობრა, შეიძლება უმიზეზოდ და გაუფრთხილებლადაც დაგესხათ თავს.

მოამზადა დავით დემეტრაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# თვითგადარჩენის კურსი მოზარდთათვის

დი სნაიდერი

## როგორ უნდა შეიძინო მეგობრები

ᲒᲕᲘᲐᲜᲘ საღამოა. მე გოგონასთან ერთად ვზივარ დივანზე. ნელა, ვითომდა შემთხვევით მის მხარზე ვდებ ხელს და... სდექ! ჩვენ ხომ იმის შესახებ ვიწყებთ საუბარს, თუ როგორ უნდა შევიძინოთ მეგობრები და არა იმის შესახებ, როგორ გამოვიყენოთ ისინი.

თუ თავს მარტოხელად გრძნობ და არა გყავს მეგობრები, კრიტიკის თვალით შეხედე საკუთარ თავს. რა არის შენში კარგი? თუ პასუხია — „არაფერი" (როგორც ჩემს შემთხვევაში), სერიოზული მუშაობა მოგიწევს საკუთარ თავზე, სანამ სხვები შენში კარგს დაინახავენ. თუ პასუხია — „მე ტალანტი ვარ" ანდა — „ჩემთან ყოფნა საინტერესოა", მაშინ ჯერ ვერ მოგისერხებია საკუთარი ნატურის ამ მხარეთა გამოვლენა, ან კიდევ — არა ხარ საკუთარ თავთან გულწრფელი და ნულარ იტყუები.

მაგრამ რატომ, რატომ ვერავინ ამჩნევს შენს შესანიშნავ თვისებებს? შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ სხვებიც, როგორც შენ, საკუთარ თავს არიან მიჯაჭვულნი. ღიახ, შენ ფიქრობ, რომ განსაკუთრებული თვისებები გაქვს და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ. მაგრამ ისინი ხომ სხვებსაც აქვთ! გაისარჯე ერთხელ მაინც, რათა ისინი შეგენიშნა? არის ძველი, მაგრამ ბრძნული გამონათქვამი: „იმისათვის, რომ მეგობრები გყავდეს, თავად უნდა იყო მეგობარი". ბრწყინვალეა, არა? ისწავლე ლაპარაკი არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, არამედ სხვათა ინტერესებზეც. და ისწავლე იყო კარგი მსმენელი.

სამწუხაროა, როდესაც არა ხარ პოპულარული. დაეხეტები სკოლის დერეფანში და ცდილობ, იატაკზე თვალებმიშტერებულმა კედელთან ახლოს იარო. იტანჯები მარტოობით, თუმცა ძალიან გინდა, მეგობრებთან ერთად ხადღაც გაემგზავრო. მაგრამ არ იცი, როგორ მოიქცე. ოცნებობ, რომ ეს შენს მაგივრად ვინმე სხვამ გააკეთოს და სულ ელი, როდის გამოჩნდება ეს ვიღაც სხვა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ სხვას ელოდო, რატომ თავად არ აიღებ საკუთარ თავზე ინიციატივას, რატომ თვითონ არ ხდები მეგობრების მოყვარული, ისეთი, როგორიც გსურს შენს მიმართ სხვები იყვნენ, გულწრფელნი, ყოველგვარი სიყალბის გარეშე? მართალია, ყველას არ მოეწონები, მაგრამ ეს ნუ გაშინებს. ბოლოს და ბოლოს, არც შენ მოგწონს ყველა, ხომ მართალია?

მარტოობაში ხშირად მიტარებია დრო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარტოხელად ვგრძნობდი თავს.

მარტოხელა — ის ადამიანია, ვინც თავის მარტოობას იღებს და მასში სიამოვნებას პოულობს. მას საკუთარი თავის კამპანიაში ყოფნა მოსწონს.

მაგრამ მარტოხელებსაც კი ჰყავთ მეგობრები — ასევე მარტოხელები, — პიროვნებები, რომელთაც სხვებთან ურთიერთობა იმისათვის მოსწონთ, რათა ისაუბრონ იმაზე, თუ როგორი ღრმად ინდივიდუალურნი არიან და რა უცნაური რამის ჩადენას აპირებენ დღეს. (გირჩევთ ეს ფრაზა გადაიკითხოთ, მასში აზრი ძევს). სამაგიეროდ, ჩემი პატარა მეგობრული კავშირები მტკიცე იყო. ამას ამტკიცებს გამონათქვამი: სამგელი ტიპები მეგობრობენ ცოტას, სამაგიეროდ, კარგად (ეს ბრწყინვალე გამონათქვამი მე მეკუთვნის). არც მე, არც ჩემს მეგობრებს არავისთან ურთიერთობა არ შეგვეძლო. ამიტომ მთელ დროს ერთმანეთთან ვატარებდით და ძალზე გულახდილნი ვიყავით. ზოგს ბევრი მეგობარი სჭირდება, ზოგს ცოტა. საერთოდ კი მეც და ჩემს მეგობრებსაც ფსიქოთერაპევტი გვჭირდებოდა. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა.



### ავარჯიშეთ თქვენში გულდაჯერებულობა

ასე არ ხდება: გაიღვიძე ერთ ცისმარე დღეს და უცებ გულდაჯერებულად იგრძენი თავი. ამისათვის გარჯაა საჭირო. მე, პირადად, მუსიკამ მიშველა. ეს ის საქმეა, რომლის კეთება მე ძალმიძს და რომელიც სხვებსაც მოსწონთ. ჩვენი ჯგუფი სკოლაში ცეკვებზე უკრავდა. გარშემო ყველა ცეკვავდა. თავად ეს გარეწარი ფრედი შესვენებებზე მოდიოდა და რომელიმე სიმღერის დაკვრას გვთხოვდა.

ძალზე ხშირად გულდაჯერებულ ტიპებს თავში არა აქვთ ისეთი რამე, რაზეც შეიძლება „ჩაჭიდება". მათი ცხოვრება ნაღვლიანია, მაგრამ ნაღვლიანია არა ცხოვრება, არამედ თვითონ არიან ნაღვლიანები. თუკი საქმე სწორედ ასეა, ეცადე რაიმეთი გაერთო. თანაც სერიოზულად. სიჭაბუკის ერთ-ერთი უპირატესობა ისაა, რომ საკმარისი დრო გაგაჩნია სისულელისთვის. ასე, რომ, დაუკარი როკ-ჯგუფში, ჩაეწერე ათლეტურ კლუბში, გაიჩინე რომელიმე ჰობი. ვიცი, რომ ეს სულელურად ჟღერს, მაგრამ ეს სიმართლეა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

მთარგმნელები ნანა მენაბდე, მაია ტოგი

# კევრი

**კევრს**, როგორც თავთავის სალეწ სამეურნეო იარაღს, ძალზე დიდი ხნის ისტორია აქვს. კევრი (ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რაჭა), ფსკევრი (ზემო რაჭა), კივირ (სვანეთი), კელი (იმერეთი) მზადდებოდა უპირატესად ფიჭვის ხისაგან, რომელიც ადვილი სათლელია და კოხებსაც კარგად იჭერს.

შეგულებულ-შერჩეულ ხეს ქართული ცულით მოჭრიდნენ, გაქერქავდნენ, დამორავდნენ და ხის სოლებით გააპობდნენ. საკევრე ფიცრებს დიდი, საორხელო ხელეჩოთი (მესხეთ-ჯავახეთში „ფეხეჩოს" ხმარობენ) გათლიდნენ, „სამუშაო პირზე" სატეხით „საკოხე ბუდეებს" ცერად ამოიღებდნენ, რომელშიც მაგარი ჯიშის კოხს (ქვებს) ჩასვამდნენ, ძირითადად მრგვალი ფორმისას. კოხები ბუდეში ისე იყო ჩაწყობილი, რომ მათი საჭრელო პირი (ფხა) გარეთ რჩებოდა, რათა თავთავი კარგად გალეწილიყო. კევრის ფიცრებს ერთმანეთზე მიაწყობდნენ და რიკით შეაერთებდნენ, ზურგზე კი ორ უღელს დააკრავდნენ. სათავო უღელზე ღვედს გამოაბამდნენ, რომლის საშუალებითაც გამწევ ძალას (ცხენს, ხარს,) ჩაუბამდნენ.

ახალ კევრს ზურგზე (ავი თვალისაგან დასაფარავად) ხის პატარა ჯვარს დააკრავდნენ. იცოდნენ თონის პურისა და მარილის დადება, რაც, ხალხური გაგებით, დოვლათის, ბარაქის მატებას განაპირობებდა.

ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის გამზადებული, დაკოხილი კევრი ოთხი ჩანახი პური ღირდა, დაუკოხავი — სამი ჩანახი. კევრები ძირითადად, ხე-ტყით მდიდარ ხეობებში მზადდებოდა და სამიწათმოქმედო რაიონებში იყიდებოდა. კევრი გავრცელებული იყო ქართლში, კახეთში, სვანეთში, მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთში და ა. შ., ხოლო მთიანეთში (ხევსურეთი, თუშეთი და ა. შ.) მოსავლის გალეწვა საქონლის ფეხით ხდებოდა.

გამზადებული კევრი კალოზე გაჰქონდათ. კალო ეწყობოდა შემაღლებულ ადგილზე (სახლის ბანზე, ეზოში, ყანასთან ახლოს). მიწას გათოხნიდნენ, გაფოცხავდნენ, მორწყავდნენ და ბზეს მოაყრიდნენ. ლეწვისათვის არჩევდნენ მზიან, „ფიცხ" დღეს, რადგან ამ დროს თავთავი უკეთესად ილეწებოდა. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ქარის ქროლვის მიმართულებასაც (ქართლში ზენაქარს ერიდებოდნენ, იმერეთში კი ქვენაქარს).

კალოში, პირველად, წინა წელს დამზადებული თავთავისაგან შეკრულ ჯვარს ჩაშლიდნენ — „ახალ მოსავალს მიაგებოსო", მერე ბჯას თავთავით შიგნით ჩაშლიდნენ, სქლად ჩააფენდნენ და ზედ კევრებს შეაყენებდნენ. კალოზე სამი-ოთხი კევრი ბზრიალებდა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ძნა იყო ჩაშლილი.

კალოსა და ნალეწ ხვავს ავი თვალი რომ არ სცემოდა, ლეწვის მონაწილე აიღებდა რკინის ნაჭერს და ქვას ურტყამდა. ხალხური გადმოცემით, რკინის ხმა კალოს ავი თვალისგან იცავდა. ლეწვის დროს კევრზე ბავშვების დასმაც იცოდნენ. იყო ერთი სიცილ-ხარხარი, შეძახილები და სიმღერა. საქართველოში ილეწებოდა პური, დიკა, ჭვავი და სხვ.

როდესაც მორჩებოდნენ კალოობას, იცოდნენ მცირე ლხინის გადახდა და კალოს ქორწილი (მესხეთ-ჯავახეთი), კალოკრეფიანობა (ქართლი), კალოს დალოცვა (იმერეთი), ლიკლაური (სვანეთი), თან დაილოცებოდნენ: „მშვიდობაში, ლხინსა და ქორწილში მოგვხმარდეს მოსავალი შინაურსაც და სტუმარსაცაო".

კალო ძველთაგანვე წმინდა ადგილად ითვლებოდა. კალოზე დატოვებულ ნივთს ხელს არავინ ახლებდა.

ხოვლეგორაზე (კასპის რ-ნი) არქეოლოგებმა გათხრების დროს მიაკვლიეს კარგად გათლილ-გამოყვანილ და კოხებით გაწყობილ ოთხ კევრს, რომლებიც თარიღდებიან ძვ. წელთაღრიცხვის XII-XI საუკუნეებით, ე. ი. გამოდის, რომ სამი ათასი წლის წინ ქართველმა კაცმა იცოდა კევრის დამზადება და მისი გამოყენება.

საყურადღებოა ისიც, რომ კევრის




ერთფიცრიანი კევრი. სოფ. ავლევი. ქსნის ხეობა.



მცხეთური განათხარი

ნაშთებთან ერთად არქეოლოგებმა ადამიანის ჩონჩხიც ნახეს, ე. ი. კევრზე მიცვალებული ყოფილა დასვენებული. როგორც ჩანს, მიცვალებულის კევრზე დასაფლავების ჩვეულება უძველესია და ჩვენი ხალხის დიდ სამიწათმოქმედო კულტურაზე მიუთითებს.

საინტერესოა, რომ ასეთი ძველი, ეფექტური სალეწი იარაღი, როგორიცაა კევრი, ბევრ სხვა ქვეყნებში გვიანობამდე არ იცოდნენ.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲐᲡᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ



კევრის კოხები.

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲢᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ-ᲗᲥᲛᲐᲜᲘ

## ᲘᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐ

ამგვარი მოთმინება აქვსო, იტყვიან ბევრის მომთმენ ადამიანზე.

„დაბადებაში“ სწერია, რომ ცხოვრობდა არაბეთში ერთი ალალმართალი კაცი, სახელად იობი. იობი ძალზე შეძლებულიც იყო და შვილმრავალიც — შვიდი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა. ბედნიერი იობი ადიდებდა ღმერთსა. ერთხელ ეშმაკმა უთხრა ღმერთს, იობი იმიტომ გადიდებს, რომ სიმდიდრით აავსე, აბა, წაართვი ყველაფერი, რაც აქვს და ნახავ, როგორ შესძულდებიო... ღმერთმა მისცა ნება ეშმაკს, სულის გარდა, ყველაფერი წაერთმია იობისთვის. იობს უბედურება უბედურებაზე დაერთო. ჯერ იყო და, ავაზაკებმა ჯოგი მოსტაცეს, შემდეგ ელჭამ დასწვა მისი ცხვრის ფარა, მტერმა კი ამოწყვიტა მისი მეცხვარეები. გრიგალმა იმსხვერპლა მისი სახლი, როცა ნადიმად ისხდნენ მისი შვილები... მაგრამ იობს ეყო მოთმინება ამ უბედურებათა ასატანად, შიშველი მოველ ამქვეყნად და შიშველი წავალო, ამბობდა იგი.

მაშინ ეშმაკმა „დასცა იობს წყლულებითა ბოროტისათა ფერხითგან ვიდრე თავამდე“. იობი იძულებული შეიქნა, განრიდებოდა ადამიანებს და ქალაქგარეთ, განმარტოებით ეცხოვრა. საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ ღვთის საგმობი სიტყვა ერთხელაც არ დასცდენია.

„დაბადება“ ამბობს, ამ მოთმინების ჯილდოდ ღმერთმა იობს ყველაფერი დაუბრუნა და კვლავ მდიდარ და ბედნიერ კაცად აქციაო.

## ᲡᲐᲛᲐᲮᲐᲠᲝᲑᲚᲝ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲐ

ამას ამბობდა კარგი ამბის მომტანი ან მახარობელი ძველად. ჩვენში ომის დროს გამარჯვებული მხარე, სანამ ომიდან შინ თვითონ მობრუნდებოდა, წინასწარ გამოგზავნიდა ხოლმე გამარჯვების ამბის მაცნეს ანუ მახარობელს. მახარობელს სამახარობლოს ანუ შესაფერის საჩუქარს აძლევდნენ.

სამახარობლოს აძლევდნენ, აგრეთვე, ქორწილში მაყრიონს, რომელიც მთელ საქორწინო პროცესიას გამოეყოფოდა, ჭენებ-ჭენებით წამოვიდოდა და პატარძლის მოყვანას შეატყობინებდა შინაურებს. ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ ქალი ძალად ან თავისი სურვილის წინააღმდეგ მიჰყავდათ, რაც სულ ძველად ხშირად მართლაც ასე იყო, რადგან ქალს, უმთავრესად, მოტაცებით ირთავდნენ. ამ ძალადობას მოჰყვებოდა ხოლმე სისხლის ღვრა და ხმლის ტრიალი ქალის მომტაცებელსა და პატრონს შორის და ისიც იგულისხმებოდა, რომ გამარჯვებული აუცილებლად მეფე-მაყრიონი უნდა გამოსულიყო. ასეთი ამბის მთხრობელს პირში შაქარს ჩაუდებდნენ ხოლმე (აქედან მოდის გამოთქმაც „შენს პირს შაქარიო“), რასაც შესაფერისი სამახარობლო საჩუქარიც მოსდევდა.

## ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲡᲝ

იხმარება იმ მნიშვნელობით, რომ უბრალო შემთხვევითობამ დასკვნა არ უნდა გაგვაკეთებინოს. აი, როგორ გაჩნდა ეს გამოთქმა:

ცხოვრობდა თურმე ერთი მფლანგველი ახალგაზრდა, მთელი ქონება ქეიფსა და ლხინში რომ დაენიავებინა და ერთი ბეწვის ქურქიღა დარჩენილიყო. ერთხელაც, ადრიან გაზაფხულზე, მერცხალი დაუნახავს. უფიქრია, ერიჰა, გაზაფხულიც მოსულა და საწვიმარი რაღად მინდაო. აიღგარა და გაუყიდია. ცოტა ხანში ისევ აცივებულა. ახალგაზრდას კი მერცხლის გინება დაუწყია, იმან მომატყუაო.

ვაჟა ხორნაული



# გელა დედაქალაქში

სოფლიდან დედაქალაქში
ჩამოიყვანეს გელა,
სადღაც, მეათე სართულზე,
გამომწყვდეულსა სცხელა,
მასპინძლის სახლი კარგია,
მაგრამ სულ ჩქარობს ყველა,
თითქმის ერთი და იგივე
სიტყვების არის ცვენა:
„სამსახური“ და „ბაზარი“...
„აღარაფერი მჯერა“...
„ლიფტი კვლავ
გაფუჭებულა“...
„ღმერთი აღარ სწამთ,
ნენა“...
„აფთიაქი“ და „ექიმი“...
„ყოველ ნაბიჯზე წყენა“...

აქ არც ტყეების ხმა ისმის,
არც ფრინველების სტვენა,
არც — მთიბველების
სიმღერა,
არც — ნაგაზების ღრენა,
სიმშვიდე დავიწყებიათ,
ქალაქი ბორგავს, ღელავს,
მხოლოდ პაპა და ბებია
მიდი-მოდიან ნელა...
ორი დღე გადააგორა...
ღმერთო, როგორა ცხელა...
და მესამე დღეს სოფელში
წამოიყვანეს გელა.



# მამა და შვილი

დაშრა ზვავი და თოვლისგან
გათელილი მოჩანს ლობე,
იქით მამა, აქეთ შვილი
თავის ეზოს ველარ სცნობენ.

მერე რა, რომ პატარაა —
მუშაობა უყვარს დათოს,
როგორც გუშინ, ახლაც
ტყეში
არ გაუშვა მამა მარტო.

მოჭრეს ფიჩხი, მარგილები
და შელობეს ლობე ისე,
თაგვიც ველარ შემოძვრება,
მოიტეხავს მაჩვი კისერს.

ხვნა სულ მალე დაიწყება,
იშრიალებს მწვანე ყანა...
იქით მამა, აქეთ შვილი
ბედნიერი სახით დგანან.



მხატვარი
თინა კარაჭაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბ“



**ბალისტიკა.** გატყორცნილი სხეული მიფრინავს გარკვეული ტრაექტორიით (გზით), რომელიც გატყორცნის ძალასა და გრავიტაციაზეა (დედამიწის მიზიდულობის ძალა) დამოკიდებული.

თუ ეს სხეული, ვთქვათ, ყუმბარა, მომცროა და არცთუ ძალზე ძლიერადაა გატყორცნილი, მისი გზის გათვლა თვალდათვალ შეიძლება, ისევე, როგორც ფეხბურთელი გაითვლის ხოლმე დარტყმის ან ონავარი ბიჭუნა — შურდულით სროლის სიზუსტეს.

როდესაც გამოიგონეს ქვემეხი, რომელიც თუჯის მძიმე ყუმბარებს ისროდა, ტრაექტორიის თვალდათვალ გათვლა არასაკმაო აღმოჩნდა. საჭირო გახდა ტრაექტორიის მათემატიკური გაანგარიშება, რის შედეგადაც წარმოიშვა მეცნიერება ბალისტიკა (ბერძნული სიტყვისაგან „ბალო“, რაც ნიშნავს „ვისვრი“)

ჯერ კიდევ გალილეო გალილეიმ დაადგინა, რომ ქვემეხის ყუმბარა პარაბოლური მრუდით მიფრინავს. ტრაექტორიის ზუსტი გათვლისათვის აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის — ჰაერის წინააღმდეგობის, ქარის მიმართულების, ატმოსფეროს ტემპერატურისა და ა. შ. გათვალისწინება.

**ბარომეტრი.** როცა პაწია პლასტმასის მილაკით გლიასეს ან კოქტეილს წრუპავთ, ცხადია, წუთითაც არ გაიფიქრებთ, რომ მილაკის სიგრძე 10 მ რომ იყოს და იგი ვერტიკალურად იდგეს, ადამიანის ფილტვების ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს სითხეს, ამოვიდეს ზედაპირამდე.

გალილეის მოწაფე ტორიჩელიმ გამოარკვია, რომ სითხეს აწევას აიძულებს არა ჩვენი ფილტვების, არამედ მის ზედაპირზე მოქმედი ატმოსფერული წნევის ძალა. ტორიჩელიმ დაადგინა, რომ 760 მმ სიმაღლის ვერცხლისწყლის სვეტი ისეთსავე წნევას წარმოქმნის, როგორსაც 10 მ სიმაღლის წყლის სვეტი. თუ ვერცხლისწყლით ავსებულ მილაკს, რომელიც ცალ მხარეს დაგმანულია, ღია ბოლოს თითს დავუცობთ, ვერცხლისწყლით სავსე აბაზანაში ჩავუშვებთ და თითს მოვაშორებთ, მილაკში სვეტი სითხის ზედაპირიდან 760 მმ-ის სიმაღლეზე გაჩერდება. იგი ამ სიმაღლეზე აბაზანის ზედაპირზე მოქმედმა ატმოსფერულმა წნევამ შეაჩერა. სწორედ ასეთია ატმოსფერული წნევა ზღვის დონეზე.

ფრანგმა მათემატიკოსმა ბლეზ პასკალმა დაადგინა, რომ რაც უფრო ზემოთ მივიწევთ ზღვის დონიდან, ატმოსფერული წნევის სიდიდე მით უფრო კლებულობს.

ხელსაწყოს, რომელიც ატმოსფერულ წნევას ზომავს (მილაკში ვერცხლისწყლის სვეტის სიმაღლეზე დაკვირვებით), **ბარომეტრი** ეწოდება (ბერძნული სიტყვებისაგან “ბაროს“ — სიმძიმე და „მეტრეო“ — ვზომავ).




ჭადრაკი ერთ-ერთი უძველესი თამაშია. მას უკვე რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს და, ბუნებრივია, ათასნაირი თქმულებაც უკავშირდება.

მინდა, იმ ერთი ლეგენდათაგანი გიამბოთ, რომლის გასაგებად სულაც არ არის საჭირო ჭადრაკის თამაშის ცოდნა. საკმარისია, მხოლოდ ის იცოდეთ, რომ თამაში მიმდინარეობს შავისა და თეთრის მონაცვლეობით დახაზულ 64 უჯრედიან დაფაზე.

ჭადრაკის თამაში ინდოეთში გამოიგონეს და როდესაც ამ ქვეყნის მეფე შურამი მას გაეცნო, ამ უაღრესად მახვილგონივრული გამონაგონით აღტაცებული დარჩა. როცა ისიც შეიტყო, რომ ეგზომ შესანიშნავი თამაშის ავტორი მისი ერთ-ერთი ქვეშევრდომი ყოფილა, ბრძანა გამოეძახებინათ, რათა პირადად დაეჯილდოებინა.

ჭადრაკის გამომგონებელი სეტა დაუყოვნებლივ ეახლა მბრძანებელს. იგი სწავლული გახლდათ და მარტოოდენ შეგირდებისაგან აღებული ჰონორარით ცხოვრობდა.

— ამ ჩინებული თამაშის გამოგონებისათვის მსურს ღირსეულად დაგაჯილდოვო, სეტა, — უთხრა მეფემ.

ბრძენმა თაყვანი სცა.

— მე საკმაოდ მდიდარი ვარ და შემიძლია ყველაზე გაბედული სურვილიც შეგისრულო, — განაგრძო მეფემ. — მითხარი, რა გსურს ჯილდოდ და მაშინვე მიიღებ.

— გულუხვი ხარ, მბრძანებელო, ოღონდ პასუხის მოფიქრება მადროვე, ყველაფერს ავწონ-დავწონი და ჩემს სათხოვარს მოგახსენებ.

სეტა მეორე დღეს ეახლა მეფეს და თავისი მეტისმეტად მოკრძალებული თხოვნით განაცვიფრა.

— ხელმწიფეო, — უთხრა სეტამ, — უბრძანე, მომცენ ჭადრაკის პირველ უჯრაზე ერთი ცალი ხორბლის მარცვალი...

— მხოლოდ ხორბლის მარცვალი?! — გაოცდა მეფე.

— დიახ, ხელმწიფეო, მეორე უჯრაზე, უბრძანე, 2 ცალი ხორბლის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცვალი მომცენ, მესამეზე — 4, მეოთხეზე — 8, მეხუთეზე — 16, მეექვსზე — 82...

— კმარა, — შეაწყვეტინა გაღიზიანებულმა მეფემ, მიიღებ ხორბალს დაფის ყველა 64 უჯრაზე შენი სურვილის მიხედვით: ყოველ მეორეზე წინასთან შედარებით ორჯერ მეტს, მაგრამ იცოდე, ასეთი უმნიშვნელო ჯილდოს თხოვნით აბუჩად იგდებ ჩემს წყალობას. მე მგონი, როგორც მასწავლებელს, ჩემი გულკეთილობისა და ხელმწიფობისადმი პატივისცემის ნიშნად, უკეთესი ჯილდო უნდა ამოგერჩია. წადი! ჩემი მსახურები გამოგიტანენ ხორბლის ტომარას.

სეტამ გაიღიმა, დარბაზიდან გავიდა და ჭიშკართან დაუწყო ლოდინი.

სადილობისას მეფეს ჭადრაკის გამომგონებელი გაახსენდა და მსახური გაგზავნა, რომ გაეგო, წაიღო თუ არა უგუნურმა სეტამ თავისი უბადრუკი ჯილდო.

— ხელმწიფევ, — მოახსენა მსახურმა, — შენი ბრძანება სრულდება. სამეფო კარის მათემატიკოსები კუთვნილ ხორბალს ითვლიან.

მეფე შეიჭმუხნა. იგი მიჩვეული არ იყო თავისი ბრძანების ასე დაყოვნებით შესრულებას.

საღამოს დასაძინებლად მიმავალმა მეფემ კიდევ ერთხელ იკითხა, დიდი ხანია, რაც სეტამ თავისი ხორბლის ტომრით სასახლის გალავანი დატოვა?

— მბრძანებელო, — მიუგეს მას, თქვენი მათემატიკოსები ანგარიშობენ და იმედოვნებენ, გათენებამდე გამოითვალონ.

— რატომ აყოვნებთ ამ საქმეს?! — განრისხდა მეფე. — ხვალ, ვიდრე გავიღვიძებ, ხორბალი სეტას უნდა ჩაბარდეს, მეორეჯერ არ ვიძლევი ბრძანებას!

დილით მეფეს მოახსენეს, სამეფო კარის მათემატიკოსთა უფროსს სურს მნიშვნელოვანი ამბავი გაუწყოთო.

მეფემ ბრძანა, შემოეყვანათ.

—ვიდრე შენს ამბავს მეტყოდე, — განუცხადა შურამმა, — მინდა შევიტყო, მიეცით თუ არა სეტას ჯილდო.

— სწორედ ამიტომ გავბედე და გეახელით ასე ადრიანად, — მიუგო მოხუცმა. — ჩვენ კეთილსინდისიერად გამოვიანგარიშეთ ხორბლის ის რაოდენობა, რომლის მიღებაც სეტას სურს. იმდენი გამოვიდა...

— რამდენიც უნდა იყოს, — განაცხადა მეფემ მედიდურად, — ჩემი ბეღლები არ გაღარიბდება. ჯილდო შეპირებულია და უნდა გაიცეს...

— შენს ძალაუფლებას აღემატება, მბრძანებელო, ასეთი სურვილის აღსრულება. ყველა შენს ბეღელში კი არა, სამეფოს ყველა ბეღელსა და მთელი დედამიწის ზურგზეც კი არ მოიპოვება იმდენი ხორბალი, რამდენიც სეტამ მოითხოვა. და თუ გსურს, აღთქმული ჯილდო აუცილებლად გასცე, უბრძანე, მთელი სამყარო სახნავად აქციონ, დააშრონ ზღვები და ოკეანეები, გაალხონ თოვლი და ყინული, შორეულ ჩრდილოეთს რომ ფარავს. უბრძანე, ყველგან ხორბალი დათესონ და რაც მოიწევა, სეტას მისცენ. მაშინ მიიღებს იგი თავის ჯილდოს.

მეფე გაოგნებული უსმენდა მოხუცის სიტყვებს.

— დამისახელე, მაინც, ეს საწაულებრივი რიცხვი, — უთხრა ბოლოს ჩაფიქრებულმა.

— თვრამეტი კვინტილიონ ოთხას ორმოცდაექვსი კვადრილიონ შვიდას ორმოცდაოთხი ტრილიონ სამოცდაცამეტი მილიარდ შვიდას ცხრა მილიონ ხუთას ორმოცდათერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი, მბრძანებელო! (18 446 744 078 709 551 615).

ცხადია, მეფეს არ შეეძლო ამოდენა ჯილდოს გაცემა, მაგრამ მათემატიკაში კარგად გათვითცნობიერებული რომ ყოფილიყო, გათავისუფლდებოდა ესოდენ საძნელო ვალისაგან. მხოლოდ ის იყო საჭირო, სეტასათვის შეეთავაზებინა, თვითონვე, მარცვალ-მარცვალ დაეთვალა კუთვნილი ხორბალი. ხოლო სეტა, მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში ხორბლის მარცვლები რომ ეთვალა, მაშინაც კი ჯილდოს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიიღებდა.

მოამზადა
შოთა ამირანაშვილმა
მხატვარი გ. თოთიბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხის ცხენი

## უმცროსი ძამიკოსათვის

ეს სათამაშო ნებისმიერი ზომისა შეგიძლიათ დაამზადოთ, მაგრამ, რამდენადაც ის სკოლამდელთათვის უფრო უპრიანია, სჯობს, საჯდომი იატაკიდან 500 მმ სიმაღლეზე დაუპიროთ.

ხის ცხენის დასამზადებლად საჭიროა 5-6 სმ სისქის წებოიანი ფირფიცრები და ფიჭვის თამასები. მათ ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ მინის ტარის ჩასაწყობი ყუთების ვიწრო დაფებიც.

უპირველეს ყოვლისა, მუყაოს ქაღალდზე უნდა დავხატოთ ნატურალური ზომის კონტურის შაბლონი. ამისათვის ჯერ უნდა დავხატოთ ბადე იმდენივე უჯრედით, რამდენიც ნახატზეა მოცემული. თუ ნახატზე ცხენის საჯდომის დაშორება იატაკიდან 50 მმ-ის ტოლია, ნატურალური ზომით იგი 500 მმ-ს, ე. ი. 10-ჯერ მეტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ უჯრედების ზომა ქაღალდზე ნახატთან შედარებით 10-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ახლა შეეცადეთ, ცხენისა და თავკავის კონტურები ბადეზე გამოიყვანოთ, პირგადასაღები ქაღალდის მეშვეობით გადაიტანეთ ნახატი ორივე ფირფიცარზე, გამოუხერხეთ დეტალები, ქლიბითა და ზუმფარის ქაღალდით კიდეები მოუსუფთავეთ. ხერხვისას გაითვალისწინეთ, რომ ცხენის ფეხები თავკავის ფუძიდან უნდა დაიწყოთ. (იხ. ნახატი).

ახლა — ყველაზე მთავარი: გააკეთეთ თავკავები. თითოეული მათგანისთვის დაამზადეთ 250 მმ სიგრძის, 65 მმ სიგანისა და 10-15 მმ სისქის ფიჭვის 10 თამასა და ამავე ზომის წებოიანი ფირფიცრის 5 ჩამონაჭერი.

სწორ, მაგარ საყრდენზე დადეთ სათამაშოს კონტურებმიხატული ქაღალდი. გადმოალაგეთ ფიჭვის თამასები თავკავის კონტურის მიხედვით. გახსოვდეთ, თითოეული თამასა უნდა დაჭრათ იმდაგვარად, რომ მომიჯნავეთა ტორსები ერთმანეთს მჭიდროდ მოერგოს. დაადეთ ზემოდან ფირფიცრისგან გამოჭრილი ცხენი ისე, რომ მისი ორივე ფეხი მთლიანი თამასის შუაში მოხვდეს. წებოიანი ფირფიცრის ჩამონაჭრები კი ზემოდან დააფარეთ, რათა თამასების პირაპირები გადაიხუროს. ამის შემდეგ ფირფიცრები, ცხენის ფეხებთან ერთად, დააწებეთ თამასებზე და თან ლურსმნებითაც მიაჭედეთ (თითო თამასას დასჭირდება 8 ლურსმანი). დაადეთ ფიჭვის თამასების ახალი ფენა ფირფიცრის მონაჭრებს. პირველი ფენის მსგავსად ტორსები წინასწარ დაუმუშავეთ და შემდეგ ისე დააწყვეთ, რომ მათ პირაპირები დაფარონ. თამასებს ზედაპირზე წაუსვით წებო, ქვედა ფენებზე მიაჭედეთ და გარეთა ნაწიბურთან შვერილები ფაქიზად დაუმუშავეთ.

ახლა თავკავები მივაწებოთ. ამგვარად გამაგრდება ფირფიცრების ორივე ნახევარი. დაგვჭირდება 30X60 მმ ტრაპეციისებური გადაკვეთილობის ძელაკი, რომელიც საჯდომის ქვემოთ ჩაისმევა და ორივე ფირფიცრის ნამზადის ორმხრივ დახრილობას უზრუნველყოფს. ზედა დაშორებამ უნდა შეადგინოს 60 მმ, ქვემოთ, თავკავებს შორის იგი უნდა იყოს 300 მმ, ხოლო ტრაპეციისებურ ძელაკს უნდა დაამაგრდეს საჯდომი ფარი (სიგრძით 200 მმ, სიგანით — 130 მმ და სისქით — 20 მმ ზომისა). საჯდომზევე შეგვიძლია მივამაგროთ 130 მმ სიმაღლის საზურგე. რაც შეეხება საყრდენს, მისი ჩასამაგრებელი ფირფიცრის დეტალებში უნდა გაკეთდეს.



საყრდენი ფეხებისათვის კეთდება იმავე წესით, როგორც საყრდენი ხელებისათვის. მხოლოდ მისი სიგრძე (ე. ი. დაშორება ფირფიცრებს შორის) მეტი უნდა იყოს, 20X60 მმ-ის გადაკვეთის ორი განივი თავკავების ზედა ნაწიბურებზე ლურსმნებითა და წებოთი მაგრდება (იხ. ნახატი).

ნაკეთობის მთელი ზედაპირის, ყველა კუთხისა და ნაწიბურის გულმოდგინე დამუშავება-გაწმენდის შემდეგ ცხენი მზადაა. კარგია, თუ მას გადალებავთ ნიტროემალის საღებავით.



# ბავშვები,

# ბუნება, მშვიდობა







„ბავშვები, ბუნება, მშვიდობა" — ასე ერქვა ფოტოკონკურსს, რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს და მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" ინიციატივით მოეწყო თბილისში, ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის საგამოფენო დარბაზში. კონკურსზე საინტერესო მასალები წარმოადგინეს ქართველმა ფოტოჟურნალისტებმა.

